343

წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 19 გიორგობისთვე 1915 წ. № 147

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან
გაზეთი „საქართველო" 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.
მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.
მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело" Московская 4, поч. ящикъ 76.
კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

ახლად გახსნილს ინტელიგენტურს სასადილო
„პეტროგრად"-ში
კრუზენშტეინის ქუჩაზე, „Тифл. Листок"-ის რედაქციის პირდაპირ
მზადდება ყოველნაირი
ევროპიული და აზიური საჭმელები
ძრიელ ხელმისაწდომ ფასებში: 2 თავი 50 კ. ხოლო სამი თავი 65 კაპ.
თვიურად ფასდაკლებით, ე. ი. 2 თავი—13 მან., 3 თავი—16 მან.
შეიძლება ვახშმის შეკვეთა.
პატივისცემით ს. კახეთელიძე და გ. არჩვაძე.
25—13

„წყლის წყლის" სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა
სასტუმრო „ჯუგაანი"
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—6 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის
ქარხნები
მ. ე. ლაღიძე და ამხ.
თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.
ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!
ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს დოსტაქარი ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი. და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი, 16 გიორგობისთვე. ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. რიგის მიდამოებში რამდენსამე ადგილას რუსების ზარბაზნები მარჯვედ ისროდნენ. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით 15 გიორგობისთვეს საღამოთი გერმანელებმა კომორასთან შემოუტიეს. გუშინ შუადღემდე აქ მტერი შეაჩერეს. 15 გიორგობისთვეს საღამოთი მდ. სტირის მარცხენა ნაპირას ს. კოლინიჩის დასავლეთით რუსებმა შეუტიეს. ხიშტებით ბრძოლის შემდეგ აქ ავსტრიელთა რაზმი მოსპეს. 3 აფიცერი და 85 ჯარისკაცი ტყვედ წამოუყვანიათ. გუშინ რიგის ყურედან რუმინეთის საზღვრებამდე სიწყნარე იყო.

კავკასიის ასპარეზი. ზღვის სანაპიროებში ოსმალებმა სხვა და სხვა ადგილას წინ წამოწევა სცადეს, მაგრამ ადვილად შეაჩერეს. სოფ. ჭოროხისა და ოლთიჩაიდგან პასსის ველამდე (ხორასნის მიდამოები) რუსის მზვერავები მარჯვედ მოქმედებდნენ. კელიკ-გრადუკის მთებში, დუტახის აღმოსავლეთით, მდინარე ეფრატზე, ოსმალები სოფ. მუსხამექირისკენ გამოილაშქრეს, მაგრამ მოიგერიეს. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

---

18 გიორგობისთვე.

ბულგარეთში.

ბუქარესტი. ბულგარეთიდან იტყობინებიან: რადგანაც ინგლის-საფრანგეთის გემებმა საბერძნეთის წყლებში გზები შეჰკრეს, საბერძნეთიდან ბულგარეთში საქონლის შემოზიდვა სრულებით შესწყდაო.

სავაჭრო ხელშეკულობა.

ბუქარესტი. სტამბოლიდან ცნობაა: გერმანეთ-ოსმალეთ-ავსტრო-უნგრეთს და ბულგარეთს დრეზდენში თათბირი ექმნებათ სავაჭრო და საბაჟო ფედერაციის შესადგენად.

საბერძნეთში.

პარიზი. ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ: მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილობაზე საბერძნეთის მთავრობის პასუხი მეგობრულის კილოთია შედგენილი. პასუხში ნათქვამია, რომ მოთხოვნილებანი საბერძნეთის კმაყოფილებას იწვევს,

რადგანაც საბერძნეთის ერს გადაწყვეტილი აქვს სრული ნეიტრალობის დაცვა, ამავე დროს საბერძნეთი არც ხელს უშლის მოკავშირეებს მოქმედებაში.

ინგლის-ოსმალეთი

ლონდონი. ოფიციალი ცნობა. კოტეზინფონთან ოსმალეთს 4 დივიზია ჰყავთ. ტყვე ოსმალთა სიტყვით, ამათგან ერთი დივიზია გაწყვეტილია. ოსმალებს, როგორც ცნობა მივიღეთ, მაშველი ჯარი მოსვლია. გენერალმა ტოუნსენდმა დაჭრილი და ტყვეები დასაბინავებლად გაისტუმრა და თვითონ მდინარის ქვემოდ ნაპირებისაკენ დაიხია.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. საღამოს ცნობა. ლაბორინტის ჩრდილოეთით უეცარი იერიშით მოპირდაპირე ფრანგებმა განდევნეს იმ ადგილებიდან, რომლებიც სამი დღე მტრის ხელში იყო. მტერი დიდად დაზარალდა, ფრანგები უმნიშვნელოდ. გუშინ ფრანგების ერთი მფრინავი იძულებული გახდა მაასის მარცხენა ნაპირას, მტრის სანგრების წინ დომრევერნში დაშვებულიყო. საშინელი სროლა აუტეხეს. საფრენი ცოტათი დაზიანდა, მფრინავები უვნებლად გადარჩნენ.

ლონდონი, 17 გიორგობითვე. 12 გიორგობისთვე ღამით ნაწილი ჩვენი ჯარებისა შეიჭრა გერმანელთა თხრილებში კომეკურთან და ხელით სასროლი ყუმბარები დაუშინეს. მეორე ადგილას ნაღმები ააფეთქეს. გერმანელთა არტილერია აველუეს აღმოსავლეთით ნევშაპელის აღმოსავლეთით, არმანტიესა და იპრის მხრით სასტიკი არტილერიის სროლით მძვინვარებდა. 15 გიორგობისთვეს 15-ჯერ მოხდა საჰაერო ბრძოლა. ერთმა ინგლისელმა მფრინავმა ერთს ბრძოლაში 5 მტრის ჰაეროპლანი დაამარცხა.

ბუქარესტი, 17 გიორგობისთვე. ბულგარეთიდან ცნობები მოვიდა, ენვერ-ფაშა ორშოვიდან დაბრუნდა, სოფიაში რადოსლავოვი ინახულა, ხვალ კი მეფე ფერდინანდს ეწვევაო.

სერბეთში

პარიზი. მონასტერში დაბანაკებულ სერბიელთა ჯარზე ბულგარებს იერიში არ მიუტანიათ. მათს მოქმედებას დიდი თოვლი აფერხებს.

ბელგეთში

ჰავრი. ბელგეთის ცნობა. გერმანელებმა დიუქსიუდეს მიდამოებსა და მის ჩრდილოეთ მხარეს ზარბაზნებს უშენდნენ.

მთაშავეთი

ცეტინიე. პრეს-ბიუროს ცნობით, 15 გიორგობისთვეს მტერმა ხელმეორედ დაიპყრო ფოჩე, მეტელკა და პრეპოლე. ამ ბრძოლის დროს მთაშაველთ ტყვედ ჩაუვარდათ 54 მეომარი.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. დღის ცნობა. ახალი არაფერი არ მომხდარა.

დილით კიტჩენერი დიდხანს ეთათბირა ბრიანს.

გენერალი ჟილონსკი დილით სადარბაზოდ იყო ბრიანთან, საღამოთი სამხედრო მინისტრის თანაშემწე თომასთან.

რუმინეთში.

ბუქარესტი. სენატმა და დეპუტატთა პალატამ პრეზიდენტებად აირჩიეს ფერეკიდი და კისირი.

იაპონიაში.

ტოკიო. კრეისერი „აკასი" პენაგას მიემართება.

გემის დაღუპვა.

ლონდონი. „ლლოიდის" სააგენტო იტყობინება: დაიღუპა საფრანგეთის გემი „ალჟერენ"-ი და 8 კაცი აკლიათ. 25 გიორგობისთვეს დაიღუპა ინგლისელების გემები „ომარ"-ი და „ტანის"-ი. „ტანის"-ის მეზღვაურებმა ნავებით ნაპირს მიაღწიეს.

ავსტრეთში.

კოპენჰაგენი. „კორესპოდენც-ბიურო"-ს ცნობით, იმპერატორი ვილჰელმი შენბრუნს მიდის იმპერატორ ფრანც-იოსების სანახავად.

გუშინ დრეზდენში გერმანთ-ავსტრეთის სასოფლო-სამეურნეო კონგრესი დაიწყო, რომლის მიზანია ავსტრო-გერმანეთის საეკონომიო დამოკიდებულების გამოკვლევა-შემუშავება. კონგრესზე ბულგარეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელნი დაესწრებიან.

გერმანეთში.

კოპენჰაგენი. ბერლინში ახალი ცნობების ჟურნალი გამოვა „ხმა აღმოსავლეთისა". ჟურნალში მოთავსდება წერილები ფინლანდიისა, ბალტიის მხრისა და საერთოდ რუსეთის შესახებ. პირველ ნომერში დაიბეჭდება: „გერმანეთის ინტერესები ბალტიის მხარეში", „ფინლანდიის პოლიტიკური მდგომარეობა".

გერმანეთის აგენტები იაპონიაში.

ტოკიო. იაპონიიდან ორი ჰოლანდიელი და ორი ინდუს-რევოლუციონერი გააძევეს, რომელთაც გერმანეთის ჯაშუშობას სწამებდნენ.

რომი. მთავარ ბანაკის ცნობა. პოპენისა და რიენელის მიდამოებში, მარონიას დასავლეთით და შლუდერმაზის სამხრეთ-აღმოსავლეთით იტალიელებმა მოპირდაპირის საველე სიმაგრე დაანგრიეს. მონტენეროს მიდამოებში, მარზელისა და ვოდილის ფერდობებზე იტალიელებმა იერიში მიიტანეს. ცხარე ბრძოლა იყო, საომარი ასპარეზი ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს იტალიელებს დარჩათ ეს ადგილი. გორიცის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ მაშველი ჯარი მიიღო და მთელ დღეს იერიშები მოჰქონდა. ზოგიერთ ადგილებში მოპირდაპირემ იტალიელთა ჯარის პირი გაარღვია, მაგრამ თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ უკუაგდეს. კარსოზე, მონტე-სან-მიკელეს ჩრდილო ფერდობებზე და სან-მარტინოს მიმართულებით იტალიელებმა რამდენიმე სანგარი აიღეს. ამ დღეს საერთოდ დაატყვევეს 702, ამათგან 15 აფიცერი; ხელთ იგდეს 3 ტყვიისმფრქვეველი და დიდძალი სამხედრო მასალა.

ბალკანეთში.

სოლუნი. ინგლის-ფრანგთა ჯარის პირზე ორ ადლზე თოვლი დასდო, რის გამოც ყოველგვარი საომარი მოქმედება შეფერხდა. მონასტირის მიდამოებში ბულგარებს იერიში აღარ მიუტანიათ.

სერბეთში.

სოლუნი. სერბეთის მთავარი შტაბი და მთავრობა მთაშავეთში აპირებს გადასვლას, საიდგანაც იმედი აქვთ საომარ მოქმედებას ზამთრის განმავლობაში ხელმძღვანელობა გაუწიონ და პარტიზანული ბრძოლა აწარმოვონ.

სერბეთიდან გამოქცეულნი მუდამ დღე მოდიან და დიდს გაჭირვებას განიცდიან.

დახმარება პოლონეთს.

ლონდონი. ახალ სამხრეთ-უელისში 10,000 გირვანქა სტერლინგი (გირვანქა სტერლინგი თუმანს უდრის) შეუგროვებიათ და ომისაგან დაზარალებულ პოლონელებისათვის გამოუგზავნიათ.

ათინა. 16 გიორგობისთვე. ფრანგებმა პოზიციები გაამაგრეს. სერბთა არმია 250 ათასი კაცი წესიერად იხევს ალბანეთის მიმართულებით. მეტი წილი სკუტარისაკენ მიდის, დურაცოსა, სანტი-კვარანტისა და სხვა მხარისაკენ. სერბნი მონასტირის მხრითაც იძულებული გახდნენ დიბრესა და ოხრილის მიმართულებით ალბანეთისკენ დაიხიონ. ბულგარეთმა თუ იერიში შეაჩერეს, მხოლოდ იმიტომ, რომ საშინელი თოვლი მოდის და ნამქერმა გზები ამოხერგა. ცრნის მხარეში, მონასტირის 30 კილომეტრზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. პრილეპთან ბრძოლის დროს სერბებს მოკავშირენი მოეხმარნენ. სერბები ალბანთა ტერრიტორიაზე მაგრდებიან. ბულგართა ორი დივიზია მოსტიკარიდან გამოვიდა და იერიშით გაემართა კიჩევოსაკენ. ფრანგთა მფრინავები ნამქერს არ მოერიდნენ და ყუმბარები ჩამოჰყარეს ბულგარების აშტიბეში.

ათინა, 16 გიორგობისთვე. ბერძენთა მთავრობის პასუხი ოთხთა კავშირისადმი უკვე განსახილველად გარდაეცა. კეთილი ზრახვანი საბერძნეთისა ადამიანს აფიქრებინებს, რომ ავანტიურას არ დაადგება იგი, მაგრამ რაოდენად პატიოსნად შეასრულებენ სიტყვას, ეს საკითხი საკითხად რჩება.

კოპენჰაგენი, 17 გიორგობისთვე. როტერდამიდან ტელეგრაფით იტყობინებიან, რომ ინგლის-ფრანგთა შვიდმა მფრინავმა 15 გიორგობისთვეს კურტესა და ბრიუსელის შუა რკინის გზაზე ყუმბარები ჩამოჰყარეს და შელდაზე ხიდი ჩაანგრიესო. ორი მფრინავი გამოჩნდა ბრიუსელს თავზე და მცხოვრებლებს ფრანგულ-ინგლისური გაზეთების უკანასკნელი ნომრები ჩამოუყარა. გერმანელებმა ბრიუსელში დაიჭირეს რამდენიმე შინ დარჩენილი აფიცრები.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კანცლერი მომავალ კვირაში სიტყვას წარმოსთქვამს რეიხსტაგშიო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სპარსეთი.

ოსმალები და გერმანელები.

გერმანელებმა ბურუჯირში პატრონსბის და ტყვია-წამლის ქარხანა ააგეს. შეაიარაღეს ადგილობრივი ტომები. გამოიყვანეს რვაასი ჟანდარმი შვედელი ოფიცრის უფროსობით, რომ მღელვარება გამოიწვიონ ადგილობრივ მკვიდრთა შორის რუსებისა და ინგლისელების წინააღმდეგ. ისპაჰანში გერმანელ აგენტებმა ახალ-ახალი რაზმები შეადგინეს ბახტიარებისაგან. გერმანეთს, ოსმალეთს და ავსტრეთს სპეციალი სამხედრო აგენტები მრავლად დაუგზავნიათ სპარსეთის სხვა და სხვა კუთხეში. ჟანდარმერიამ თეირანიდან მთელი არსენალი გაზიდა და თავით-ფეხამდე შეიარაღებული ოსმალეთ-გერმანეთის პროპაგანდას მხარს უჭერენ. საერთოდ ფართედ არის გაჩაღებული რუსეთ-ინგლისის საწინააღმდეგო მოქმედება. სპარსეთის მთავრობა, თითქოს უძლურებით მოსდიოდეს, ერთდება ენერგიულ ზომების მისაღებად რუსეთის საწინააღმდეგო აშკარა მოქმედების ასალაგმავად. შაჰის მთავრობის ერთგულება მეტად საეჭვოა. ხმებია, შაჰი და მისი მთავრობა უბრალო საბაბს უცდის, რომ თეირანი დასტოვოს და ისპაჰანში გადავიდეს და თვით ჩაუდგეს სათავეში რუსეთის საწინააღმდეგო დაწყებულ მოძრაობას.

სპარსეთის ოპოზიცია.

მეჯლისის (სპარსეთის პარლამენტის) დემოკრატიული პარტიამ ბელადი სულეიმან-მირზა თეირანიდან ყუმში გადასახლდა და იქ მეთაურობს ისლამიზმისთვის მებრძოლ კომიტეტს. ყუმი სპარსეთის ოპოზიციის სატახტო ქალაქად გადაიქცა. იგი ამავე დროს შიიტების სამღვდელოების საბრძანებელია. მეშხეთის შემდეგ, ეს პირველი ქალაქია სადაც შიიტების წმინდანები განისვენებენ. და რადგანაც შიიტების სამღვდელოებას დიდი გავლენა აქვს მთელა სპარსეთში, ამიტომაც სულეიმან-მირზა მასთან კავშირს განამტკიცებს და ცდილობს ქალაქი ყუმი გახადოს რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყების ცენტრად.

შვედელი ოფიცრების მოქმედება.

შვედელი იყო ოფიცერი, რომელიც ხელმძღვანელობდა რუსეთისა და ინგლისის ელჩებზე თავდასხმის საქმეს ქამადანში. შირაზში რომ ინგლისის ელჩი და მასთან ხუთი სხვა ინგლისელი შეიპყრეს, ესეც შვედელ ოფიცრის მეთაურობით მოხდა. დღეს ქურთისტანში რუს ოფიცრების მეთაურობით მომქმედ სპარსთა ყაზახებს ებრძვიან გერმანელთა გუნდები შვედელი კაპიტანი, ოენსეტის ბელადობით, რომლის მეოხებით ადრე კენგოვარში რუსეთისა და ინგლისის ელჩებს თავს დაესხნენ.

სპარსეთის ჟანდარმერიის უფროსი, პოლკოვნიკი ედვალი, ესეც შვედელი, ორ გიორგობისთვეს არწმუნებდა შაჰის, ინგლისისა და რუსეთის ელჩების თვალწინ, დაეტოვებინა თეირანში, ისფაჰანში გადასულიყო და იქიდან გაეწია ხელმძღვანელობა რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებისთვის. ჟანდარმერია და მისი შვედელი უფროსები აშკარად გამოდიან გერმანელ აგენტების როლში და ცდილობენ სპარსეთს ომი გამოაცხადებინონ რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგ. თეირანში 600 ხახტიარი ჩამოვიდა, რომლებიც გერმანეთ-ოსმალეთის მომხრეები არიან.

გერმანეთი.

რეიხსტაგის მოწვევა.

რეიხსტაგის მოწვევის დღედ 30 გიორგობისთვეა დანიშნული. სხვა და სხვა პოლიტიკურ სფეროში ემზადებიან ამ დღისთვის. წინასწარი თათბირი ჰქონდა გერმანეთის მთავრობას და პოლიტიკურ პარტიების ბელადებს. იმპერიის კანცლერთან საგანგებო თათბირი გამართეს სოციალისტებმა რეიხსტაგის პირველი სხდომის გამო. სოციალისტებმა სურვილი გამოსთქვეს, ყველა ასპარეზზე გამარჯვებულმა გერმანეთმა პირველმა აღიმაღლოს ხმა მშვიდობიანობის ჩამოგდების თაობაზეო.

ბულგარეთი.

ახალი სესხი.

ბულგარეთის მთავრობამ ავანსად რამდენიმე ათი მილიონი მარკა აიღო გერმანეთის ბანკებიდგან, სამხედრო ოპერაციების განსაგრძობად. ომის გათავების შემდეგ, ეს ავანსი ბულგარეთის საგარეო სესხად იქნება ჩათვლილი.

დამარცხების შემდეგ შერიგება.

ბულგარეთის პრემიერის სიტყვით, სერბეთის ჯარის განადგურების შემდეგ, ბულგარეთის მთავრობა სერბეთს ცალკე ზავით შეეკრებაო.

მეფე ფერდინანდი ზვიადობს.

ბულგართა მეფე ფერდინანდი გაგულიანებულია სერბეთში გამარჯვებით. ამ ახლოხანში სოფიაში მას მიუღია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელნი. საყვარელ სტუმრებისთვის შემდეგი სიტყვით მიუმართავს: „ბულგარეთმა ახალი სახელმწიფოს საძირკველი უკვე ჩაჰყარა. მალე ბულგარეთი მსოფლიოზე მეშვიდე ძლიერი სახელმწიფო გახდება და სამს ზღვაზე გაბატონდებაო“.

პაპი და ზავი.

რომში კიოლნის მთავარ ეპისკოპოსმა პარგამონმა ინახულა პაპი. საუბარს ერთი ნეიტრალ სახელმწიფოს წარმომადგენელიც დასწრებია. „ამ ჟამად ზავის იმედი ტყუილად გვაქვს,—უთქვია პაპის,—ერთად-ერთი დიდი ნუგეში ის არის, რომ ზავზე ლაპარაკს ცოდვად აღარ გვითვლიანო“.

ოსმალეთი იარაღს ჰგზავნის

სერბეთის ჯარის მდგომარეობა უკიდურესობამდინ მივიდა. ეს როდი აკმარეს, ოსმალეთმა 60 ათასი ხიშტი გაუგზავნა ბულგარეთს, ამ ჟამად ინგლის-ფრანგების ჯართა წინააღმდეგ სდგას ფრიად გაწრთვნილი და კარგად შეიარაღებული ბულგართა არმია, რომლის ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები სულ გერმანელები არიან.

სად არის სერბეთის მთავრობა.

სერბთა უკანასკნელი თავშესაფარი პრიზრენი დაეცა. ჩრდილოეთის არმია შუაზე გაიყო, ნახევარმა ალბანეთს შეაფარა თავი, ნახევარმა კიდევ მთაშავეთს. სად არის ამ ჟამად სერბეთის მთავრობა? ამის შესახებ დეპეშებს ცნობები არ მოუტანია. ჰფიქრობენ, ისიც მთაშავეთს შეაფარებდა დროებით თავსაო.

გუსტავ ჰერვე და ზავის პირობები.

გუსტავ ჰერვემ დიდის რიხით გაილაშქრა გერმანელ სოციალისტთ პაციფისტთა წინააღმდეგ: იგი ბავშვურ გულუბრყვილობად სთვლის რომ ფრანგმა სოციალისტებმაც ხელი მოაწერესო. გერმანელი კეთილი ხალხი ჰფიქრობს ზავზე, მაგრამ ისე კი, რომ არავითარი ანექსია არ მოხდეს, ზავი იგი დამყარებული იყოს მტკიცე ნიადაგზე, ყველა ერს მიეცეს თვითგამორკვევის უფლებაო. მაგრამ დაფიქრდნენ კი, თუ ამ წინადადებას როგორ შეხვდებოდა კაიზერი ჰოჰენცოლერნი, ავსტრიელი ჰაბსბურგი ან ოსმალეთის სულთანი? დაფიქრდნენ კი, თუ როგორი დამშვიდებული გულით მიიღებდნენ ყველა ესენი ხალხთა თვითგამორკვევის რევოლიუციურ პრინციპს, პრინციპს, რომლის ცნობა ამათთვის მოკვლასა ნიშნავს? დიაღ, ყბედმა პაციფისტებმა იტიტინონ ზავზე. თუ მათ მხოლოდ ტიტინი შეუძლიათ, მაშინ საშიში არ არიან და ვერც ხელს შეგვიშლიან ომი ბოლომდე გავიყვანოთ, სრული გამარჯვებით დავაგვირგვინოთ. ეს გამარჯვება, გამარჯვება იქნება ყველა ერის გასანთავისუფლებლად, რათა მტკიცე და შეურყეველი საძირკველი ჩაეყაროს ევროპის მშვიდობიან ცხოვრებას!“ („Puerre Sociale“.)

რუსეთის ფრონტი

პოლონელი ჯარისკაცები.

ჩარტორისკთან ბრძოლის დროს რუსების მიერ წამოყვანილ ტყვეებ შორის ბევრი პოლონელი ლეგიონერები აღმოჩნდა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ფრონტზე რუსების წინააღმდეგ პოლონელები იბრძვიან. პოლონელთა ლეგიონერები ავსტრია-გერმანეთის ჯარის პირველ რიგში დგანან თურმე. მათ უკან მადიარები, მერე ავსტრიელები და გერმანელები. (დ.)

რიგის რაიონი.

სამხედრო ავტორიტეტების აზრით, რიგის მიდამოებში გერმანელები ისე მაგრად არიან გამაგრებული, რომ იქიდან მათი დაძვრა ყოვლად შეუძლებელია. რიგის მიდამოები ერთგვარი ღუზეა, რომლის წყალობით გერმანელები ბატონობენ მთელ დვინაზე.

ოსმალეთი.

ბანკეტი სტამბოლში.

სპარსეთის ელჩმა მაჰმედ-ხანმა ბანკეტი გამართა სტამბოლში ფელდმარშალ ფონ-დერ-ჰოლც-ფაშის პატივსაცემად. ბანკეტს დაესწრნენ ენვერ-ფაშა, თალაათ-ბეი და სხვა გამოჩენილი ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწენი. წარმოითქვა სიტყვები, სადაც ქებით იხსენიებენ სპარსეთს, რომელმაც ესოდენი დიდი სამსახური გაუწია ოსმალეთსა და გერმანეთსო.

უკანასკნელი ფოსტა

რუმინეთში.

ბუქარესტში 15 გიორგობისთვეს პარლამენტში სხდომები დაიწყო. მიწვეულთა რიცხვი განსაზღვრული იყო. ლოჟები ნახევრად ცარიელი. დიპლომატთა კორპუსი ორ ლოჟაში მოთავსებულიყო: ერთი—მოკავშირეთა წარმომადგენელნი, მეორეში—შეთანხმებისა. ზომები იყო მიღებული მანიფესტაციების ასაცილებლად. მეფესა და მემკვიდრეს „ვაშას“ ძახილით მიეგებნენ. მეფემ სეფე სიტყვა დაიწყო. დარბაზში მცირე რიცხოვან ოპოზიციის ხმა გაისმა: „ძირს უნგრელები და გერმანელები“ „გაგვიძეხ ტრანსილვანიისკენ!“ მთავრობის მომხრე და ლიბერალების „ვაშამ“ და ტაშის ცემამ ოპოზიციის ხმა დაჩრდილა. დეპუტატებმა მილლემ წამოიყვირა: »ძირს მთავრობა“. მას ლიბერალები მიეხვივნენ და ცემა დაუპირეს. სეფე სიტყვის დასრულების შემდეგ, მეფე და მემკვიდრე დეპუტატებმა „ვაშას“ ძახილით, ტაშის ცემით გააცილეს.

ენვერ-ფაშა.

ბუქარესტიდან ცნობა მოვიდა: ენვერ-ფაშამ ორშოვიდან დაბრუნებისას, გზად სოფიაში შეიარა და რადოსლავოვი ინახულა. ხვალ ენვერ-ფაშას მეფე ფერდინანდი სადარბაზოდ მიიღებს.

საბერძნეთ-ბულგარეთის ხელშეკრულობა.

„რეჩ“-ი დარწმუნებით ამბობს, რომ ბულგარეთ-საბერძნეთის შორის ხელშეკრულებაა დადებული, რომლის მიხედვითაც მოქმედობს საბერძნეთიო.

რიგის მიდამოებში.

რიგის მიდამოებში ხარბაზნით ბრძოლა გაცხოველდა. ასეთი ფიცხელი სროლა მუდამ წინამორბედია ხოლმე გერმანელების ძლიერი შემოტევისა.

ტყვე გერმანელების აზრი.

ტყვე-გერმანელი აფიცრები დაბეჯითებით იმეორებენ: საშობაოდ გერმანელები რიგაში იქნებიანო.

ოსმალები ვარნაში.

ვარნაში ოსმალეთის ჯარი მივიდა „გებენისა“ და ბრესლაუს“ თანხლებით. რუმინეთში დუნაის ნაპირას მდებარე ქალაქები დასცალეს.

სპარსეთში.

ქამადანში ოსმალო, გერმანელი და შვეციელი აფიცრები საუღელტეხილო გზას ამაგრებენ და სპარსეთის არტილერიას იმხრობენ.

ბალკანეთში.

მონასტირის მდგომარეობა უკიდურესია. ბულგარეთის ცხენოსანი ჯარი მის მახლობლადაა.

სერბიელთა ხუთი პოლკი ჯერ კიდევ მონასტირში იმყოფება. 80 ათასი სერბიელი მთაშავეთში გადავიდა.

ბულგარეთში.

ათინიდან ცნობაა, ბულგარეთში 40 ათასი ავსტრო-გერმანელთა ჯარისკაცი ჩამოვიდაო.

სირიაში.

სირიაში მყოფი ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალი არაბებს აქეზებს, დაუყოვნებლივ საჭიროა ეგვიპტეზე გალაშქრებაო.

სპარსეთში.

თეირანიდან დეპეშით იტყობინებიან შირაზსა და მთელს სამხრეთ მხარეში ნამდვილი აჯანყებაა. მეთაურებად გერმანელები არიან. ქამადანიდან მოხალისეები მიდიან. ქამადანში ცილა ჟანდარმებიანად შვიდი ათასი მეამბოხეა.

საბერძნეთში.

მოკავშირეთა დესპანების მიერ წარდგენილ მოთხოვნილობაში ნათქვამია: საბერძნეთმა მოკავშირეთა ჯარს სრული თავისუფლება უნდა მისცეს მაკედონიაში მოქმედებისა. მოთხოვნილების რამდენიმე მუხლი მეტად სამძიმოდ მიაჩნიათ. საბერძნეთის მთავრობას ჯერ პასუხი არ გაუცია.

შვეციაში.

შვეციაში მყოფი რუსეთის დესპანი ნეხლიუდოვი იტყობინება: რუსეთ-შვეციის შორის გამწვავებული დამოკიდებულება მოწესრიგდა. შვეციის ეხლანდელი მთავრობა ნეიტრალობას გვპირდება, როგორც უნდა დასრულდეს ბალკანეთში ბრძოლაო.

ბრძოლის ველზე

რიგის რაიონში ადგილ-ადგილ საარტილერიო სროლა გაჩაღდა, რომელსაც პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. პინსკის სამხრეთ-დასავლეთით, 15 გიორგობისთვეს გერმანელები იერიშით წამოვიდნენ სოფელ კომორაზე. 16 გიორგობისთვეს შუადღისას რუსებმა აქ შეაჩერეს გერმანელთა შემოტევა, რომელიც შემდეგში არ განუახლებიათ. 15 გიორგობისთვეს მდ. სტირის რაიონში, სოფელ კოზლინიჩის დასავლეთით, რუსების ერთ-ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა მოპირდაპირეთა ხაზზე. ბევრი დახოცეს, 83 ჯარისკაცი და სამი ოფიცერი ტყვედ წამოიყვანეს. 16 გიორგობისთვეს რიგიდან დაწყებული რუმინეთის საზღვრებამდე სიწყნარე არ დარღვეულა.

კავკასიის ფრონტზე მოქმედებას მეტი სიცხოველე დაეტყო. შავი ზღვის ნაპირად ოსმალებმა სცადეს სხვა და ადგილას წინ წამოწეულიყვნენ, მაგრამ ყოველგან შეჩერებულ იქმნენ.

ჰორობის და ოლთი-ჩაის შესართავიდან ფასინის ველამდე რუსის რაზმმა მტრის ბანაკი დაზვერა. კელიქ-გიადუკის რაიონში, დუტახის აღმოსავლეთით, მდ. ეფრატზე, ოსმალებმა ძლიერად შემოუტიეს. მაგრამ აქაც შეჩერებულ იქმნენ.

მეგრი.

თბილისი, 19 გიორგობისთვე.

ცენტრში ჩვენი ქვეყანა მაგრად გავამაგრეთ. ჩაეჭიდა ეკონომიურ ორგანიზაციების პრინციპს, რადგანაც მასში დაინახა უტყუარი საწინდარი თავისი მომვალი ეკონომიური აღორძინებისა. დღითი-დღე უფრო პოპულიარი ხდება იდეა შეკავშირებისა და შეერთებისა ეკონომიურ ნიადაგზე.

თვით მიყრუებული კუთხეებიც არ რჩებიან ამ მოძრაობის გარეშე და ყოველგან დიდი ხალისით ეკიდებიან კოოპერატიულ ამხანაგობების დაარსების განზრახვას. არსებულ ამხანაგობათა შორის უპირველესი ადგილი წვრილ კრედიტთა ამხანაგობებს უჭირავს.

ამ ამხანაგობებს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, თუ მეტი სისტემა და მთლიანობა იქნება შეტანილი წვრილ კრედიტის ამხანაგობათა ოპერაციაში. ამისთვის აუცილებელია გაფანტული ამხანაგობების შეერთება და ერთი კავშირის შექმნა. ამ მხრივ ნაბიჯი უკვე გადადგეს კახეთის წვრილ კრედიტთა ამხანაგობებმა, რომელთაც თავიანთი მოქმედება შეაერთეს და დაიარსეს საერთო ორგანიზაცია, კავშირის ცენტრალი ორგანიზაციის სახით. ეხლა აქ კავშირის მოვალეობაა გარს შემოიკრიბოს საქართველოს დანარჩენი ამხანაგობები, გახდეს მათი ფაქტიური ხელმძღვანელი და აწარმოოს ეროვნული ეკონომიური პოლიტიკა თავის წესდების ფარგლებში.

ამ ფრიად საჭირო საქმის გასაძღოლად კახეთის ამხანაგობათა კავშირი თელავიდან თბილისს უნდა გადმოვიდეს, რადგანაც თბილისი ცენტრია საქართველოსი და მთელი კავკასიისა.

თბილისშია სათავე პოლიტიკური და ეკონომიური მაჯისცემისა. საჭიროა აქ მოეწყოს ცენტრი ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციებისა, ძლიერი და მტკიცე ცენტრი და აქიდან მიეცეს ტონი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას.

ახალი ამბავი

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარ გამგეობას შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოუგზავნა 60.000 მანეთი გადმოხვეწილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამავე გამგეობამ სენაკის განყოფილებისაგან წერილი მიიღო, რომელშიაც დადასტურებულია კვათანის ნორმალ სასწავლებლის უმწეო მდგომარეობა. განყოფილების აზრით საჭიროა ფიცხელი დახმარება სკოლისათვის.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს დღეს საღამოს კრება ექნება.

◆ **წერა-კითხვის საზოგადოება.** 1914 წლის 1 იანვარს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ვალი ითვლებოდა სხვა და სხვა დაწესებულებასა და კერძო პირზე 5.391 მან. 70 კაპ. ეს ვალი, საზოგადოების გამგეობის აზრით, უნდა გაიყოს სამ ნაწილად. პირველი ნაწილი უდრის 586 მან. 92 კაპ., რომელიც უეჭველად განაღდდება, რადგან მოვალეებმა სურვილი განაცხადეს გადახდისა და ნაწილ ნაწილ კიდევაც შემოაქვთ ფული. მეორე ნაწილი ვალისა უდრის 4.040 მან. 28 კაპ. ეს ვალი განაწილებულია 28 პირზე, რომელთაგან ზოგმა სრულიად არავითარი პასუხი არ გასცა საზოგადოებას, საჩივრის მუქარაზედაც კი, ხოლო ზოგიერთებმა [illegible] პასუხი და ვალის [illegible] გადაიხადა, დანარჩენ ნაწილზე ხმას აღარ იღებენ, ანუ პატივებას თხოულობენ. ამათ წინააღმდეგ, გამგეობის აზრით საჩივარი უნდა აღიძრას. მესამე ნაწილი ვალისა უდრის 764 მან. 50 კაპ. ეს ვალი უნდა ჩამოიწეროს, ე. ი. გამოირიცხოს ანგარიშიდან, რადგან მისი განაღდება აღარ შეიძლება.—ეს ანგარიში ვალებისა წარედგინება საზოგადო კრებას.

◆ **ქ. შ. წ.-კ. ხ. გამგეობამ** დაადგინა ქართველ მოღვაწეთათვის პანთეონის შესახებ შემდეგი მოხსენება წარუდგინოს საზოგადო კრებას: 1) არსებითად გადასწყდეს ქართველ მოღვაწეთა სავანე—პანთეონის მოწყობა დიდუბის ეკლესიის გალავანში; 2) გადაიდოს ათას-ათასი მანეთი ხუთი წლის განმავლობაში, შეძენილ და უკვე შეღობილ ადგილის შესასყიდად და დამტკიცებულ იქმნას შემოღობვაზე გაწეული ხარჯი 205 მან., რომელიც უნდა დაიფაროს 1915 წლის შემოსავლის ნაშთიდან; 3) მიენდოს გამგეობას შეადგინოს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს როგორც არქიტექტური გეგმა, აგრეთვე ხარჯთაღრიცხვა პანთეონის მოწყობისა და ინსტრუქცია ქონების მართვა-გამგეობისა.

17 გიორგობისთვეს გამგეობას მსჯელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძისეულ საგურამოს მამულის შესახებ და იმ დასკვნას დაადგა, რომ მამული იჯარით გაიცეს სანდო და მცოდნე პირზე, რომელიც საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულობას მტკიცედ შეასრულებს როგორც იჯარის დროზე გადახდით, ისე მამულის მოვლა-მოშენების მხრივ.

◆ **დაკრძალვა.** გუშინ წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალეს გვამი ს. კ. მიხაილოვსკისა, ტერეჩანინის ფსევდონიმით ცნობილ თბილისის რუსულ პრესაში. დაკრძალვას დაესწრნენ ადგილობრივი რუსულ ჟურნალ-გაზეთების და თბილისის ჟურნალისტთა საზოგადოების წარმომადგენელნი. განსვენებულის კუბო ამ საზოგადოებამ შეამკო გვირგვინით.

◆ **ჩხრეკა რედაქციაში.** გუშინწინ ნაშუადღევს „თანამედროვე აზრის“ რედაქციაში ჟანდარმები იყვნენ. ჩხრეკა არ მოუხდენიათ. დააპატიმრეს მხოლოდ კანტორის გამგე ვასო წულაძე. მერე მისი ბინაც გაჩხრიკეს, იატაკიც კი აჰყარეს, მაგრამ სრულებით არაფერი არ აღმოუჩენიათ.

◆ **ფქვილის მოტანა ზღვით.** სომეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას 400 ვაგონი ფქვილი ჰქონია ნასყიდი, მაგრამ ამ ფქვილის წამოღება რკინის გზით საზოგადოებამ ვერ

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვეს წაკითხული)

(შემდეგი *)

II

ჩვენ ზემოდაც აღვნიშნეთ საქართველო ღვთისმშობლის წილხდომილი ქვეყანააო. ქრისტიანობას წმ. ნინო აგვირგვინებს. თამარ დედოფლის ამორჩევა, ეროვნულ გმირის დახატვა ერთხელ კიდევ ჰღაღადებს თუ ქართველთა მსოფლმხედველობა როგორ ქალურ ხასიათს ატარებს. თითქმის მსოფლიოზე ეს ერთად ერთი ხალხია, სადაც ქალში იპოვა გამოხატულობა ადამიანთა უმაღლეს იდეალებმა. ამნაირად უმაღლესი მეტაფიზიკური რელიგიური და ისტორიული ხორცშესხმულობა სამმა ქალმა შესძლო საქართველოში და ეს სამნი, როგორც დავინახეთ, იყვნენ ერთის მხრით ღვთისმშობელი, მეორე ნინო და მესამე არა ნაკლებ სათაყვანო, თამარ-დედოფალი.

რაკიღა გავეცანით ქალურ მიმართულების უპირატესობა ქართველთა მისწრაფების მხატვრულს გამოხატულებაში, ახლა შეგვიძლიან აპრიორულად დავამტკიცოთ, თუ რა გავლენა უნდა მოეხდინა ქართველთა ყოველდღიურ ყოფა ცხოვრებაზეც. და მართლაც, ლაპარაკში, დღიურ ჭირვარამის გამოხატულებაში თუ სხვა რამ ეთნოგრაფიულ მოვლენაში ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველთ ყოველისფერში ქალთათვის მიუციათ უპირატესობა. ხშირად ასეთი მიმართულება წარმოუდგენელს ზომას აღწევს. მართალია, ეთნოგრაფიულ მაგალითებს მეტად ფრთხილად უნდა მოვექცეთ და სავსებით არ უნდა ვენდოთ ხოლმე, მაგრამ მათი სრული უგულებელყოფაც ცოდვა იქნებოდა. თავისებური მოვლენანი ხშირად ერევა სხვისაში და მით შეუძლებელსა ჰყოფს აღებულ ხალხის კულტურის რაობის გაგებას. ამ შემთხვევაში რასაც ჩვენ აღვნიშნავთ, სავსებით ქართველთა საკუთრებას შეადგენს. ქალთა პატივისცემამ ქართველთა შორის, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა მატრიარქალურს წესწყობილებაში, რომლის ქურაშიც გამოიწვრთნენ ქართველები, როგორც სხვა დანარჩენი ერები მთელს დედამიწის ზურგზე. ამ მხრივ ქართველებზე დიდი გავლენა უნდა ჰქონოდათ სხვა და სხვა ჯურის რელიგიებს, როგორც მაგალითად, პარსიზმს და ქრისტიანობას, რასაც ქართველები აღიარებდნენ, ამის მტკიცებას აქ არ ავხირდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ორთავე რელიგიას დიდი გავლენა მოუხდენია ქართველთა ყოფა ცხოვრებაზე და შეგვიძლიან კიდეც რამდენიმე ნაშთზე მივუთითოთ სწორედ, რაიც ქალთა კულტის პატივისცემაში სასურველ ფერადებად ჩაქსოვილან. ამის შესახებ რამდენიმე ფრიად საყურადღებო ფაქტები მომაწოდა კ. დ. ყიფიანმა. თვით უბრალო ლაპარაკშიც კი ქართველები ქალს პირველ რიგში აყენებენ და შემდეგ მამაკაცებს. ასე, მაგალითად, ქართველები ყოველთვის ამბობდნენ და ამბობენ კიდეც: დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ქმარი, დედამთილ-მამამთილი, ქალ-ვაჟი, დედალ-მამალი და სხვა. ჩხუბში, ვაივაგლახის დროს ქალები ასრულებდნენ შემრიგებელის როლს. იყო დრო, როდესაც საკმარისი იყო ქალს მანდილი ჩაეგდო მოჩხუბართა შორის და სისხლის ღვრაც შეჩერებულიყო და მოსისხლე მტრები გადაეხვეოდნენ ერთმანეთსა.

პირადად მე ბევრჯელ მომხდომია თვალყური შედევნებინა ამ ფრიად საინტერესო მოვლენისთვის ქართველთა ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, როდესაც სოფლებს ჩხუბი მოსდით წყლის გამო რუს გამოყვანის დროს, ადგებიან და მოჩხუბრები სათავეში აყენებენ ქალებს, რა არის მათ ხელს ვერავინ ახლებს და ჩხუბსა და დავიდარაბას თავიდან აგვაცილებენო.

ეთნოგრაფები ფრიად საგულისხმიერო ამბებს აგვიწერენ ქართველთა ცხოვრებიდან. ამ ფაქტთა განხილვით სულ ადვილად შეგვიძლიან აღვადგინოთ ქართველთა ცხოვრება ქრისტიანობის მიღებამდე. კახეთში, მაგალითად „თეთრ ეკლესიასთან“ (თელავიდან 12 ვერსის მანძილზეა) დღემდე სცხოვრობენ ქალები, რომელნიც ნებსით ეწირებიან წმიდანს. მათ უწოდებენ „მონებს“, ე. ი. მხევლებს და სრულიად თავისებურს ცხოვრებას ეწევიან. მათ აცვიათ თეთრი ტანისამოსი, გულდასმით ისმენენ ავადმყოფ-მლოცველთა აღსარებას და შესაფერ „სასჯელს“ აძლევენ ცოდვათა მოსანანებლად.

საოცარს მოვლენას ვაწყდებით ხევსურთა ცხოვრებაში. ეს ძველის ძველი ხალხი, რომელნიც ჯერაც არ გამოსულან წარმართული ცხოვრებიდან და თავისებური ორგანიზაციებით სცხოვრობენ, როგორც ქრისტეს დაბადებამდე, ჩვენ ვხედავთ დეკანოზებს, ქადაგებს და ქურუმქალებს. ეს ქადაგი ქალები წინასწარმეტყველებენ, ხალხს მათი სიტყვა ღრმად სწამს და დიდს პატივსაცა სცემს. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანობის მიღებამდე ქართველთა შორის ქალი დიდ როლს ასრულებდა და თვით ქურუმთა როლსაც არ ეკრძალებოდა.

ქალთა პატივისცემამ ფრიად თავისებური ელფერი დასდო ქორწილს. ეს ელფერი თითქმის ქართველთა ტომების უმრავლესობისთვის ერთგვარი სახითაა მიღებული.

რუსულ ქორწილებში სიმძიმის ცენტრი სარძლო-სასიძოს მშობლებს აწევთ. სრულიად საწინააღმდეგო შეხედულობას ვხედავთ ქართულ ქორწილში. თუ პატარძალი რუსულ ქორწილში მხევლის როლს ასრულებს, აქ ნამდვილი დედოფალია, ოჯახის მბრძანებელი. მაგრამ მის გადედოფლებამდე უსათუოდ უნდა წყალობა გამოსთხოვონ შინაურ სულებს. ამ მიზნით ამტვრევენ ჰურჭელს და მსხვერპლად სწირავენ (მაგ. კახეთში) მამალს, ანუ ცხვარს პატარძლის სახლის ზღრუბლის წინ და სხვა.

როდესაც ახლად ჯვარდაწერილნი შედიან, მაშინ კერას უვლიან გარშემო, შემდეგ დედაბოძს. თქმა არ უნდა, ასეთი ჩვეულება ქართველთ ანათესავებს პარსიზმთან და მის შინაურ კერის კულტთან. პატარძლის შემოვლა კერის გარშემო ძველად ნიშნავდა ქალის განწმედა-განსპეტაკებას, სტიქიის ღვთაებრივ ძალით. ეხლა კი ნიშანია იმისა, რომ ქალი კერის ღმერთს ამიერიდან აფარებს თავს.

ასეთი თანამნიშვნელოვანი აზრი აქვს თვით იმ სახელწოდებას, რასაც ახალი ჯვარდაწერილნი ატარებენ ქორწილის დროს: პატარძალს ეწოდება „დედოფალი“, ხოლო სიძეს—მეფე. თამადას არ შეუძლიან სადღეგრძელო წარმოსთქვას, თუ მათგან ნებართვას არ მიიღებს.

საგულისხმიეროა, რომ ახალი ჯვარდაწერილნი ამ ტიტულს სამი დღის განმავლობაში ატარებენ. ამას გამოისად მათ რაოდენამე ბრძანების უფლება ეძლევათ ყველაზე. მაყრები, ანუ შაფერები, მის ბრძანებას მთელს ამ ხნის განმავლობაში გულმოდგინეთ ასრულებენ ხოლმე. ნეფე ანუ მეფეა ამ დროს ყველას თავი. მან უნდა გასაჯოს ყოველისფერი, გაასამართლოს დამნაშავე, თუ რაიმე უწესოება მოხდა. დამნაშავეს ხშირად მეფე სასტიკად სჯის. დამნაშავის პატივება შეუძლიან მხოლოდ დედოფალს, თუ ეს უკანასკნელი მოწყალებას მოიღებს მაზე. დედოფალი ხელცახოცს მიაწოდებს. ეს ნიშანია პატივებისა. დამნაშავე მაშინ დარბაზის შუა დგება და საქვეყნოდ აცხადებს, დედოფალმა მიპატიაო.

ამნაირად, ქართველი ქალი გათხოვების უმალ ქმრის მონა კი არ ხდება, არამედ სახლის დედოფალი, სახლის ბურჯი. იგი უაღრესად ქმრის გვერდით თანაბარ უღლის გამწევია და მასთან ერთად შინაურ სულთა მფარველობის ქვეშ იმყოფება.

რელიგიური ნაშთები, ენის ზოგიერთა ფაქტები, ამასთანავე, ფრიად თავისებური ზნეჩვეულებანი, რომელნიც შემთხვევით ჩაჰხლართვიან ერთმანეთს, წარმართული და ქრისტიანულ ელემენტების არევ-დარევა ერთმანეთში და ასეთი დიადი კულტი ქალის პატივისცემისა უაღრესად ქართველთა შორისა ვპოვებთ და მათ კუთვნილებად ვხედავთ მხოლოდ.

ქართველებისთვის როდი ჰკმაროდა განყენებული თაყვანისცემა ღვთისმშობლისა, წმიდა ნინოსი თუ თამარ დედოფლისა. მათ მოახერხეს, რაოდენადმე მაინც, ცოცხალს, ყოველდღიურს დამოკიდებულებაში ქალის წინაშე გამოეჩინათ უღრმესი პატივისცემა.

თქმა არ უნდა, ფრიად საინტერესოა დაწვრილებით გავცნობოდით თუ რომელ მოვლენაში რამდენად იჩენდა ქალური სტიქია თავს ქართველთა ცხოვრებაში. იქნებ მათი გაცნობა საუკეთესო გასაღებად გამოგვდგომოდა გაგვეგო გამოცანა ქართველურ ასკეტიზმისა, ქართულ ბერ-მონოზნობის მიდრეკილებისა, მის კულტთან, რომ მარად ქალწული დარჩენილიყვნენ, რაიც ასე რიგად გავრცელებული იყო მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში (მერვე საუკუნიდან მეთორმეტემდე). ხომ შეუძლებელია მარტო ერთი სოციალ-პოლიტიკური მიზნებით აიხსნას განდეგილობის მძიმე უღლის შედგმა, „პირუტყვათ ქცევა, რასაც ასე რიგად ვხედავთ საუკეთესო ქართველთ შორის მეშვიდე საუკუნიდან. უდაბნოში წასვლა, ერთი მონასტრის შენება მეორეს გვერდით, აუარებელ მღვიმეების თხრა, რის ცოცხალ მაგალითს გვაძლევს დღევანდელი შიო მღვიმის მონასტერი და მრავალი სხვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ღვაწლ შემოსილ მამათათვის როდი კმაროდა საქართველოს კუთხენი, იგინი მიილტვოდნენ ათონში, სინას მთაზე, პალესტინაში. მართლაც, სრულიად განსაკუთრებული პსიხოლოგიური პირობები იყო საჭირო, რომელთა შორის უსათუოდ ხაზი უნდა გაესვას სამარადისო ქალწულების კულტისადმი მისწრაფებას, სულიერ „ქორწინების“ დიად წყურვილს, რაიც საუკუნოებით მჩქეფარე ნაკადულსავით აღმოჰხეთქდა ქართველთა ცხოვრებაში და თითქოს ამოშრეტაზე არც ჰფიქრობდა. საოცარია ამ მხრივ პატარა საქართველო, საოცარია ასკეტურ მისწრაფების სიდიადე და დაუცხრომლობა! ყოველ შემთხვევაში ასეთს ძლიერს ლტოლვილებას ასკეტიზმისადმი ჩვენ არ ვხედავთ არც სომხეთში, არც სხვა რომელიმე საქრისტიანო ქვეყანაში აზიურ ქვეყნების შორის, ჩვენ არ ვიცნობთ ისეთს ქვეყანას, რომელსაც ესოდენი ბრძოლა განეცადოს, ვაება მოსეულ მტერთაგან, ასე ძლიერი დამცველი ყოფილიყოს ქრისტიანობის კულტისა. ნაშთნი საქართველოს სიძველისა ამას ერთხმადა ღაღადსა ჰყოფს. საქმე ის არის, რომ ყველანი ამას დაბეჯითებით შესწავლა უნდა, ღრმა და მიუდგომელი დაკვირვება,.

ჯერჯერობით აქ შევაჩერებ ჩემს ზოგადს გამოკვლევას და პირდაპირ გადავალ ქალთა კულტის განსახილველად ქართველთა ლიტერატურის მიხედვით, განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურის მიხედვით, სადაც თვალნათლივი გამოხატულება ჰპოვა ქართველთა მსოფლმხედველობამ და ნამდვილი ქალის გაიდეალების „კულტი“ შეჰქმნა, საიდეალო რაინდული სიყვარულის კეკლუცი გამოხატულობით.

(შემდეგი იქნება)

ვ. გურკო.

---

*) იხ. „საქარ.“ № 141, 142, 143.

მოახერხა. ეხლა ამ ფქვილის ერთი ნაწილი (105 ვაგონი) ნოვოროსიისკიდან ფოთამდე ზღვით გამოუგზავნია საზოგადოებას. ფქვილი დანიშნულია სოფლელ სომხებისათვის.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** საჯარო კრება გაიმართება შაბათს, გიორგობისთვის 22-ს, საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა სკრებულოს დარბაზში.

ივ. პ. როსტომაშვილი წაიკითგავს მოხსენებას: „ახალი შუქი სწავლა-განათლების საქმეში: ერთი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი მთელ საქართველოსათვის“

◆ **საგანგებო კრება.** დღეს საღამოს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას საგანგებო კრება ექნება. უნდა განიხილოს სარევიზიო კომისიისა და გამგეობის მოხსენებანი საზოგადო კრებაზე წარსადგენად.

◆ თბილისის გუბ. თავად-აზნაურთა დეპუტატთა და საკრებულოსთან არსებულ საერობო ბიუროს მდივნად მიიწვიეს ვექილი ივანე ლევანის-ძე ჩერქეზიშვილი.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „კოოპერაციის“ მე-35 ნომერი. ჟურნალი ეძღვნის რუსეთში კოოპერაციის შემოღებიდან 50 წლის შესრულებას.

◆ **ზინგერის ვაჭრობის განახლება.** როგორც ხმა დადის, ზინგერის ვაჭრობა ჩქარა უნდა განახლდეს. ვაჭრობის წარმოებას კანტროლს გაუწევს მთავრობის ინსპექცია. როგორც ვიცით, თბილისში ზინგერის მაღაზიების დაკეტვის შემდეგ 200 მოსამსახურე დარჩა უსაქმოდ.

◆ **სამეურნეო საზოგადოება.** მიმდინარე წელს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების შემოსავალ-გასავალი უდრის 30.529 მან. 27 კაპ. ამ თანხიდან საცდელ და საჩვენებელ ადგილებისათვის და აგრეთვე საჭირო მიწების შესაძენად გადადებულია 15.500 მან., საზოგადოების სპეციალისტებისა და სხვა მოსამსახურეთა ჯამაგირებად—9520 მან., სულ ამ ორ საგანზე 25,020 მანეთი.

◆ **ახალი ლაზარეთები.** ახლო მომავალში ქალაქთა კავშირის კომიტეტი შეუდგება ახალ ლაზარეთების მოწყობას ქუთაისში.

◆ **ქალაქის ფინანსები.** გამგეობის წევრს გ. დ. ჟურულს 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვასთან ერთად მოხსენება შეუდგენია სათაურით—„კრიტიკული განხილვა ქალაქის ფინანსებისა“.

◆ **ექიმი მარქარიანცი** ატყობინებს კავკასიის ქალაქთა კავშირის თავჯდომარეს, რომ ჯამაგირებისა და ზამთრის სამზადისისათვის 110,000 მანეთია საჭირო, რომლის ანგარიშში 30,000 მანეთი ეხლავე უნდა გამოგზავნოთო.

◆ **სანოვაგე.** ქალაქის გამგეობამ შეიძინა ჩრდილო კავკასიასა და შიდა რუსეთში 15.000 ფუთი ფქვილი და 50.000 ფუთი შაქარი.

◆ **სურსათი გზაში.** ბაქოს სადგურში ყოფილა გაჩერებული, ამიერ კავკასიის სხვა და სხვა ადგილებისათვის გამოგზავნილი ჩრდილო კავკასიიდან და შიდა რუსეთიდან, 4.349 ვაგონი, დატვირთული ფქვილით, შაქრით, ერბოთი, კარტოფილით, მაკარონით, ბრინჯით და სხ. ღონისძიებას ხმარობენ, რათა ეს ვაგონები გამოისტუმრონ ბაქოდან.

◆ **ფქვილი და შაქარი.** 17 გიორგობისთვეს თბილისში შემოიტანეს რკინის გზით 39 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი შაქარი.

◆ **თოვლი და სიცივე.** 17—18 გიორგობისთვეს თბილისის ახლო-მახლო მთებზე თოვლი მოვიდა. თბილისში აცივდა.

◆ **ფქვილით ვაჭრობა.** ქალაქის გამგეობა ახლო მომავალში აპირებს ფქვილის საწყობის გახსნას, საიდანაც წვრილ-წვრილად (1—2 ტომარს) მიჰყიდის ხოლმე მეპურეებს.

◆ **გადამდები სენი.** გუშინ ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ხოლერიანი 8, ქუნთრუშიანი 135, სახადიანი 40, საოფლიანი 36, ხუნაგიანი 12, ყვავილიანი 2 და მუცელათი ავადმყოფი 1 კაცი.

ქუთაისი

— 17 გიორგობისთვეს ღამე, კაზაკოვის ქუჩაზე უცნობმა ყუმბარა გადააგდო, რომელიც ძლიერის ძალით გასკდა. არავინ უმსხვერპლია, მხოლოდ მეზობლად მდებარე სახლის ღობე დაანგრია და ფანჯრის შუშები ჩალეწა.

— ხუთშაბათს, 19 გიორგობისთვეს „ქართული დრამის“ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ელო ანდრონიკაშვილის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ს. ჭანტურიშვილისა „ბუღუსი“, და მოზაიკა ერთ მოქმედებათ სიმღერითა და ცეკვით ივ. მჭედლიშვილისა. უმთავრესი როლები დასის საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული. შემდეგი ბენეფისი სანდრო ყალაბეგიშვილისა.

— ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. გ. ი. ერისთავმა თბილისიდან თავ. დ. ო. ნიჟარაძისაგან ფრიად საყურადღებო წერილი მიიღო: ამ დღეებში მეფის მოადგილეს დეპეშა მოსვლია, რომ ალავერდის კათედრა აღდგენილი იქნეს.

— პეტროგრადში საბოლოოთ გადამწყდარა საკითხი, რომ ქუთაისში გაიხსნას სასულიერო სემინარია. სემინარია როგორც გავიგეთ, მომავალი წლის იანვრიდან გაიხსნება.

— 13 გიორგობისთვეს ქალაქის თეატრში ქუთაისის ქალთა წრემ ჯარის კაცთა დასახმარებლათ გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ღალატი“. მონაწილეობას ღებულობდენ ყველა მსახიობები.

— ქართულმა გიმნაზიამ ქუთაისში სხვა საშუალო სასწავლებლებს ბევრათ წაასწრო. იქ დაარსდა სამხატვრო, სალიტერატურო და დრამატიული კურსები. დრამატიულ კურსებზე მოქმედება უკვე დაიწყეს. ლექციებს კითხულობს აკაკი ფაღავა. აგრეთვე შუამდგომლობაა აღძრული, რომ ნება დართონ მოწაფეებისათვის დაარსონ ჟურნალი „საქართველოს ყვავილები“. კარგი იქნება, რომ ხსენებულ სასწავლებელში მშობელთა წრეც დაარსდებოდეს.

ს. არალეთი (გორ. მაზ.)

ენკენისთვეში ავაზაკმა ქურდ-ბაცაცებმა ძმ. იზნელებს ორი ცხენი მოჰპარეს. როგორც ხმები დადის წითელი ნიშა სოფ. მეტეხისკენ(გორის მაზრა) გაუყიდნიათ, ლურჯი (შუბლზე პატარა ნიშანით) საჩხერეში ჰყოლიათ. ვინც ნამდვილ ცნობებს მიაწოდებს მსახიობ გიორგი არადელ-იზნელს, ან ზაქარია იზნელს სადგურ ქარელში, შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

თათბირი სასახლეში

16 გიორგობისთვეს საღამოს 8 ნახ. საათზე სასახლეში შესდგა უკანასკნელი სხდომა მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თავმჯდომარეობით, საკვებ და ბინის საკითხთა შესახებ. დიდმა მთავარმა წინადადება მისცა კრების გახსნისათანავე სექციის წარმომადგენელთ მოეხსენებინათ თავიანთი აზრი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებათა გამო. მომხსენებლად სექციის მხრივ გამოვიდა ბათომის ქალაქის თავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ ადმინისტრაციის აზრით უნდა დაარსდეს მხოლოდ საგუბერნიო სათათბიროები გუბერნატორების თავმჯდომარეობით, ხოლო სექციის აზრით კი უნდა შესდგეს სასურსათო ორგანიზაციები, ამნაირი კავშირი კი ანუ სტრუქტურა სასურსათო ორგანიზაციებისა, სექციის ყველა წევრთა აზრით ეწინააღმდეგება როგორც 17 მარიამობისთვის კანონის ძირითად დებულებას აგრეთვე ადგილობრივ რწმუნებულთა წესდებას, უკვე დამტკიცებულ პეტროგრადის საგანგებო თათბირის თავმჯდომარის მიერ ამა გიორგობისთვის 25-ში. სექციის წარმომადგენელნი, სთქვა ანდრონიკაშვილმა, ამ თათბირთა ორგანიზაციებს უფრო უახლოვებენ, 17 მარიამობისთვის კანონის ძირითად აზრს ვინაიდან ადგილობრივ ოლქებში და ქალაქებში აწყობენ სააღმსრულებლო ორგანოებს, აღჭურვილი ნამდვილ 17 მარიამობისთვის კანონის უფლებით და არა საერთო კანონის მიხედვით, რომელიც მხოლოდ გუბერნატორებს ანიჭებს ამ უფლებებს. თ-დ ანდრონიკაშვილმა შემდეგ თვის მოხსენებაში მიუთითა რა კრებას ამ თათბირებში მიწვევის საჭიროებაზე წარმომადგენლების საზოგადო ორგანიზაციებისა მოახსენა სექციის დადგენილებანი ამ საკითხზე. ადმინისტრაციის მიერ შეტანილი ამ დადგენილებაში ცვლილებანი სექციას უყურადღებოდ დაუტოვებია თვით ცვლილებათა უმნიშვნელოვანეულობისა გამო.

თ-დ ანდრონიკაშვილის მოხსენების შემდეგ სიტყვა მიეცა ტფ. გუბერნიის მარშლის მოადგილეს თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილს რომელმაც გამოუცხადა რა უქვეშევრდომილესი მადლობა მეფის ნაცვალს სოფლის მცხოვრებთა მხრივ მათდამი უმაღლეს მზრუნველობისათვის, რომელიც გამოიხატა ამ თათბირის მოწვევით, სთხოვა მათ უმაღლესობას სოფლელთა ჭირ-ვარამის დასაკმაყოფილებლად დაარსებულ იქმნას სამაზრო სასკვებო სათათბიროები.

ქუთაისის გუბერნიის მარშალმა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემაც ქუთაისის თავად-აზნაურობისა და მცხოვრებთა მხრივ მადლობა გადაუხადა მეფის ნაცვალს და მიემხრო თ-დ ჩოლოყაშვილის თხოვნას.

სტავროპოლის საერობო გამგეობის წარმომადგენელმა ბ-ნ პოიარკოვმა მოახსენა დიდ მთავარს რომ სტავროპოლის გუბერნია საშიში არ არი საკვების მხრივ. პირიქით სტავროპოლის გუბერნიაში პური თავზე საყრელია და რადგანაც ეს გუბერნია თვისი პურით ჰკვებდა კავკასიასაც ამიტომ ითხოვა განსაკუთრებულ რწმუნებულის დანიშვნა სასურსათო საკითხის მოსაწყობად. ამ რწმუნებულს შეუძლიან გამორკვევა პირველ მოთხოვნილებათა რაოდენობისა და ამის და მიხედვით მიიღოს ზომები კავკასიის უზრუნველსაყოფად ამ მხრივ. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ბ-ნთ პეტერსონმა შაშკოვსკიმ და ისტომინმა საკვებ სათათბიროების სტრუქტურის დაარსება ითხოვეს და თან განაცხადეს რომ გუბერნატორის თავმჯდომარეობით მომხდარი სათათბიროები სრულიად ეთანხმებიან 17 მარიამობისთვის კანონის ძირითად დებულებათა აზრს ვინაიდან გუბერნატორები როგორც თავმჯდომარენი, იმავე დროს თვალყურს ადევნებენ მხოლოდ წინასწარ მუშაობას ამ თათბირებისას და არავითარ უფლებებით საკვებ საკითხში აღჭურვილნი არ იქნებიან ვინაიდან ეს უფლება მხოლოდ მიწადმოქმედების რწმუნებულის ხელთ იქნება დაკავშირებული. ადმინისტრაციის წარმომადგენელთ პასუხი გასცა თბ. ქალაქის თავმა ა. ი. ხატისოვმა და მოუწოდა კრებას გამოეცხადებინა ნდობა საზოგადო ძალებისადმი, რომელთაც როგორც რუსეთში ისე კავკასიაში უკვე საკმაოდ დაიმსახურეს ნდობა მთელი ქვეყნისა, მაგალითად დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა პატრონობაში. „გუბერნატორებმა კი, სთქვა ბ-ნ ხატისოვმა, მიუხედავად უფლებით აღჭურვისა ვერ მოაგვარეს ამნაირ საბედისწერო მომენტში თვისდა რწმუნებულ გუბერნიების მცხოვრებთა უზრუნველყოფა პურითაც კი“.

დასასრულ ბ-ნი ხატისოვი თავის სიტყვაში მხურვალე იმედს აცხადებს, რომ მათი აღმატებულება ისმენს ხმას საზოგადო მოღვაწეებისას და მცხოვრებთა გამოკვების საკითხს მიანდობს საზოგადო ძალებს, რომელნიც მარტო ამ გარემოებით, მეფის ნაცვლის მიერ ამ თათბირის მოწვევით, აღფრთოვანებულნი არიან, ვინაიდან ამაში ხედავენ უტყუარ საბუთს მათდამი ნდობისას და ამის გამო სრული იმედი აქვთ ფიქრისა, რომ ეს ძალები შესძლებენ ღირსეული დახმარება აღმოუჩინონ მთავრობის წარმომადგენელთ, რომელნიც ისედაც ძლიერ დატვირთულნი არიან თავის მუშაობაში ადგილობრივ. შემდეგ ვრცელი სიტყვით მიმართა იქ დამსწრეთ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, რომელმაც ბრძანა, რომ წარმომადგენელთა სურვილებს იგი სრულიად ეთანხმება, მაგრამ მის ცხოვრებაში გატარების დროს იგი მოვალეა დაემყაროს კანონს. ეს კანონი კი მიკარნახებს რომ მე ამისთანა განსაკუთრებულ შემთხვევაში მაქვს უფლება ჩემის შეხედულებით მოვიქცე, და მოვახსენებ რა ხელმწიფე იმპერატორს, ველოდე მათ უდიდებულესობის პასუხს ამა თუ იმ გზის ასარჩევად“. დასასრულ დიდმა მთავარმა კრებას თვისი მადლობა გადასცა ნაყოფიერ შრომისათვის.

ექიმი მინასიანცი

ექიმი მინასიანცი თანამედროვე „საზოგადო მოღვაწეა“. ის გახლავთ უფროსი ექიმი და გამგე ნავთლუღის განაწილებელ ლაზარეთის. მისი საგმირო საქმენი მრავალჯერ იყო აღნიშნული „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე. ექიმი მინასიანცი და მისი მარჯვენა ხელი, ლაზარეთის ზედამხედველი ჯაფარიძე „აზრის“ რედაქციას პასუხის გებაში მიცემითაც ემუქრებოდენ, მაგრამ ამჯობინეს სიჩუმე, დაკმაყოფილდენ ქალაქის გამგეობისაგან ნდობის გამოცხადებით. მინასიანცის „მოღვაწეობა“ რაკი მისმა მფარველებმა მოიწონეს, ამის შემდეგ ის უფრო მხნედ შეუდგა ჩვეულებრივ „საქმიანობას“. მისი საქციელი „გოლოს კავკაზას“ ყურადღებასაც კი იპყრობს. 14 ამ თვის ნომერში ხსენებულ გაზეთში ვკითხულობთ, რომ „მინასიანცი ლაზარეთს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რის მეოხებითაც ლაზარეთში სრული უწესობა სუფევს. მაგალითად იყო შემთხვევა, როცა შუაღამისას, ლაზარეთის მოსამსახურენი, ღვინით გალეშილები, შევარდენ ავადმყოფ მხედრებთან, მასხარად აიგდეს ისინი, მოაშორეს ყინული და მის ნაცვლად ცხელი წყლით სავსე ბოთლები დაადვეს. მოსამსახურენი ღამით ბანქოს თამაშობენ, მოწყალების დებს უშვერი სიტყვებით ამკობენ, მათ ოთახებში შედიან მამაკაცები. ერთი სიტყვით აქაურობა ლაზარეთს კი არ მოგაგონებს, არამედ მეჯლისს შავი ჭირის დროს“. გაზეთს აუცილებლად მიაჩნია დაინიშნოს მთავრობის რევიზია, მაგრამ მინასიანცს არც ამის ეშინიან. იმდენად ყოჩაღი და გაქნილია, მთავრობის რევიზორიც მადლობას ეტყვის.

აი ამისი მაგალითიც: 15 გიორგობ., დილით ადრიან ცნობა იყო მიღებული ლაზარეთში, რომ მოემზადნენ და დაუხვდნენ გენერ. მუდროვს, ამიტომ ჩვეულებრივად როგორც სხვა დროს იშვიათ სტუმართ მოლოდინში დიდი ცვლილება მოხდა: ფაცი-ფუცი გამოიწვია ადმინისტრაციისა და ყველა ნაკლულევანებას მიაფარ-მოაფარეს, გაფხიკეს-გაასუფთავეს. ყოველთვის უმზგავსი სადილი შესცვალეს უკეთესად, ყველა მოსამსახურე-მოხელეთ ებრძანათ ფრონტში გამოწყობილიყვნენ და ვინ როგორ მოქცეულიყო და სხვა.

ერთი სიტყვით ბ-ნი მინასიანცი, ყოველ შემთხვევისთვის მზად გახლავთ და როგორც წყლიდან ამოსული ბატი მშრალადა რჩება.

დარდანელი

დღეს ინგლისში ლაპარაკობენ და მსჯელობენ ისევ დარდანელზედ; წინანდელი იმედები, ვითომც მოკავშირენი ამ ოპერაციას სულ მოკლე ხანში გაათავებდნენ, შემცდარი გამოდგა. ახლა უკვე ყველამ იცის, თუ რა აუწერელი ჯარი გაწყდა გალიპოლის ნახევარ კუნძულზედ. თვით საზოგადოებაც, შეფიქრიანებულია აუწერელ მსხვერპლით, მოითხოვს ამ ოპერაციის შეჩერებას და ჯარის სხვა უფრო ხელსაყრელ ალაგზე გადაყვანას.

მთავარ მიზეზად საზოგადოების ასეთი აზრის შეცვლისა უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, გერმანეთის გამარჯვება ბალკანეთში. რა მნიშვნელობა აქვს დარდანელის ერთი ნაპირის აღებას, თუ, ჯერ ერთი, ჩატალჯაში და და სტამბოლში გერმანეთის ჯარები იდგებიან, და მცირე-აზიის ნაპირები ისევ ოსმალეთის ხელში დარჩება. დღეს გერმანელები და ოსმალები უკვე შეერთებულნი არიან; სერბეთის განადგურებით მათ პირდაპირი მიმოსვლა გამართეს. ბერლინიდან სტამბოლამდე მატარებლების მიმოსვლა თავისუფლად სწარმოებს. ჯარების გადაყვან-გადმოყვანაში მათ ხელს ვერავინ შეუშლის. ცხადია მაშასადამე, რომ თუ დღევანდლამდის მარტო ოსმალებმა შესძლეს ინგლის-საფრანგეთის ჯარის შეჩერება, ახლა, გერმანელების დახმარებით ვინ იცის რა განსაცდელში არ ჩააგდებენ იქ მყოფ მოკავშირეთა ჯარს.

თუ მაინც და მაინც ინგლისის მთავრობა ამ ოპერაციას თავს არ ანებებს, ამის მიზეზი სულ სხვაა. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ინგლისის ქვეშევრდომნი უმრავლესობა მუსულმანები არიან. ინგლისი შიშობს გავლენა არ დაკარგოს მათში დარდანელში მოქმედების შეჩერებით. თავიანთ გავლენას ეგვიპტეში დიდს მნიშვნელობას აძლევენ. აი მაგალითად რას ამბობს ლორდ მილნერი: „ჩვენ დავკარგეთ 100,000 კაცი დარდანელში; ეს ჯარი ეგვიპტეში რომ გვყოლოდა უფრო მეტს მოვიგებდით, რადგან აუცილებელი საჭიროა შევინარჩუნოთ ჩვენი გავლენა ამ ქვეყანაშიო. ინდოეთის მუსულმანებზე უფრო მეტს გავლენას ახდენს ჩვენი გამარჯვება მესოპოტამიაში, ვიდრე ჩვენი დამარცხება დარდანელშიო“. ლორდ მილნერი (ცნობილია, როგორც საუკეთესო მცოდნე მუსულმანთა ქვეყნებისა და მის აზრს ინგლისის ხალხი ანგარიშს უწევს.

დარდანელში მოქმედების შეჩერების მომხრენი არიან ასკვიტის სამინისტროშიაც. იტყობინებიან, ისინი უმცირესობას შეადგენენო. ამას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც თვით ხალხია დარწმუნებული, რომ დარდანელის აღება უკვე შეუძლებელია. ადვილი მოსალოდნელია, რომ ინგლისის მთავრობაც იძულებული გახდეს დარდანელს თავი გაანებოს და გალიპოლის კუნძულიდან ჯარი ან ეგვიპტეში ან ბალკანეთში გადაიყვანოს.

(რ. ვ.).

ახალი ტიპის წყალქვეშა ნავი

გერმანელებს ახალი ტიპის წყალქვეშა ნავი მოუგონიათ. ეს გაცილებით საშიშია ნაოსნობისთვის, ვიდრე წინანდელი. ამ წყალქვეშა ნავებს უწოდებენ „მზღუდავი ნავი“. მისი დანიშნულება წყალქვეშ ცურვის დროს გააწყოს ნაღმები იმ გზაზე, რა მხრითაც ნაოსნობა სწარმოებს. ამ მიზნით გერმანელებს ნავებში განსაკუთრებული განყოფილება აქვთ, სადაც წყალი ოდნავაც ვერ შეატანს. აი ამ განყოფილებაში ამზადებენ სანაოსნო გზებზე დასაქსელ ნაღმებს. ამ ნავის ნაღმები ზომით გაცილებით პატარაა, ვიდრე წინანდელ ნავებისა, სამაგიეროდ ძალით თუ არ აღემატებიან, არაფრით ჩამოუვარდებიან პირველთ. როდესაც ნაღმებს გააწყობენ ჩასადგმელად, ამ განყოფილების ყველა კარს ჰკეტავენ, ხოლო გარეთას აღებს, რის გამოც მთელი ეს განყოფილება ივსება წყლით. შემდეგ ნაღმები გადააქვთ ზღვაში, რა თქმა უნდა, ამისთვის დამზადებულ განსაკუთრებული მანქანით—მანქანა განმზადებულ ნაღმებს ზღვაში უშვებენ. ნაღმები კიდევ ავტომატიურად თავისთავე იჭერენ საჭირო სიღრმის ზომას. ნაღმები მომზადებულია განსაკუთრებული აპარატით. რამდენიმე წუთს შემდეგ თავისთავად ისეთ დონეზე დგებიან, რომ ოდნავი მიკარებაა საკმარისი, რომ საშინელის ძალით აფეთქდნენ. ეს წყალქვეშა ნავები მეტად სახიფათო საფრთხეს წარმოადგენენ ნაოსნობისთვის. მით უმეტეს, მათი შემწეობით ნაღმებს მაშინ აწყობენ, როდესაც წყალქვეშ იმყოფებიან. საოცარია, ნაღმები მოულოდნელად იქ ჩნდებიან, სადაც ნაოსნობისთვის გზა გაწმენდილი ჰგონიათ. რა შედეგს მოიტანს ასეთი ახალ ტიპის წყალქვეშა ნავები. ჯერ არვინ იცის. ეს კია, რომ 4 გიორგობისთვეს ამ ნავთა ნაღმით ლამანშში დაიღუპა საავადმყოფო გემი „ინგლისი“, მას მიჰყვა ქვანახშირის მტვირთავი გემი „ლუზიტანია“, რომელიც გაემართა მის მისაშველებლად. იმავე დღეს დაიღუპა გემი „ტრენგლასი“. მისი დაღუპვა არ გამოუქვეყნებიათ. 9 გიორგობისთვეს ამავე ნავის ნაღმით დაიღუპა კიდევ ორი გემი. ამნაირად თვითეულ დღეს ახალ-ახალი ამბავი მოაქვს საომარ ასპარეზიდან. ხმელზე და ზღვაზეც გერმანელთა შემოქმედების უნარი გასაოცარს სიმაღლეს აღწევს. მის მეტოქეთ ის და მოუგონიათ, რომ თავდასაცველად საწინააღმდეგო რამით უპასუხონ ხოლმე. ამჟამად ინგლისელთა გონება იმის გარშემო ტრიალებს, რომ ამ ახალ ტიპის ნავების საწინააღმდეგოდ რამე გამოიგონონ ისეთი, რომ მათი თარეშობა წყალქვეშ გემებისთვის მაინც საზიანო არ იყოს.

ა.

„მეურნეს“ საზოგადოება

გამგეობის მოხსენება

(25 ღვინობისთვეს ახალ-კლუბის წევრთა წინაშე)

ძველებურმა, მამა-პაპურმა ურთიერთობამ, ძველებურმა აღებ-მიცემობამ და წარმოებამ ბევრი მოაზროვნე ადამიანი ჩააფიქრა. კაი თავსამტვრევი საკითხები ჰქონდათ ცხოვრებისგან წამოყენებული. როგორ და რა საშუალებით უნდა დაეხმარებოდნენ ეს პატიოსანნი მკვლევარნი მცხოვრებთა გაუმჯობესობის საქმეს იმ გაუგებრობის ხანაში, როდესაც პროგრესი დღემუდამ წინ მიიწევდა სულ ახალ და ახალ ასპარეზისაკენ, სულ ახალ და ახალ საშუალებათა გამოგონისკენ. ხალხი, მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობა კი ამავე დროს სიბნელეში რჩებოდა, სიღარიბისკენ, სიღატაკისკენ და გარყვნილებისკენ მიექანებოდა. ამ უკუღმართობასთან ბრძოლის გამომცხადებელნი კოოპერატიულ იდეამდისინ მივიდნენ თითქმის ერთ და იმავე დროს კონტინენტზე და ინგლისის კუნძულებზე.

დღეს ბევრ გავლენიან კოოპერატივების გამტკიცება, მის გარშემო ხალხის თვითმოქმედების გაცხოველება ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად კაცობრიობის ცხოვრების სწორ და სასიკეთო კალაპოტში ჩასაყენებლად. ვერც ჩვენ აუხვევთ ამ მოძრაობას გზას, არც უნდა აუხვიოთ, პირიქით ეს მოძრაობა ჩვენისთანა ერისთვის ზედ გამოჭრილია და ყველანი მოვალენი ვართ ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა მივიღოთ მასში.

ევროპაში კოოპერატიულ მოძრაობას უკვე ასწლოვანი სახელოვანი ისტორია აქვს. ყველა წოდების, ყველა მდგომარეობის კეთილ ადამიანს შეუტანია იქ თავისი წვლილი ამ საქმეში. კოოპერატიულ იდეათა მამა მთავრების რ. ოუენის და ფურიეს მოღვაწეობის, მხოლოდ 40 წლის შემდეგ, ეს სასარგებლო აზრები ფართოდ შეიჭრა ქარხნებში, დაბა-სოფლებში და მტკიცედ მოიკიდა იქ ფეხი, როდესაც სათანადო ნიადაგი მომზადდა და გარეშე პირობებმაც ხელი შეუწყო. შემდეგ სასახლის [illegible] ამ მოძრაობაში ჩაბმა [illegible] პოლიტიკო მოღვაწეებმა და საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა. ამ გვარმა სასიამოვნო ყურადღებამ და კოოპერატიულ იდეების ცხოვრებაში გატარებისთვის გულმხურვალე მოღვაწეობამ ის შედეგი გამოიღო, რომ იქაური მცხოვრებნი ქონებრივად გაღონიერდნენ, ზნეობრივად გაფაქიზდნენ და სასიცოცხლო ენერგია დიდად გაუმრავლდათ. ამ მოძრაობის მიმდევრებმა ნაყოფი შედარებით მეტად მალე მოიმკეს. ერთი პასტორის მოწმობით—მისმა 40 წლის ქადაგებამ თურმე იმდენი ვერ გააკეთა მის მრევლში, რაც კოოპერატივმა ხუთი წლის განმავლობაში მოახერხა. კოოპერატივებს არც დღეს, ამ სისხლის წვიმების დროს, დაუყრია მკვეხავი ფარხმალი; მათ სასარგებლო მოღვაწეობას ბევრი იხსენიებს და დიდს როლს მიაკუთვნებს ამა თუ იმ ერის გამარჯვებაში მინდვრად, თუ მეომართა ცოლშვილის უზრუნველყოფაში სოფლად და ქალაქებში.

ვინ ჩამოსთვლის კოოპერატიულ მოძრაობის სიკეთეს და კეთილ შედეგებს. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ მოძრაობას ასახელებენ ჩვენი დროის დუხჭირ ცხოვრების უებარ მალამოდ, რომ მის საშუალებით სწადიათ მოწინავე ადამიანებს გადაქმნან თანამედროვე წესწყობილება ისე, რომ ყველას სამართლიანად მიეწყოს დამსახურებისამებრ

გვიან, მაგრამ ჩვენს სამშობლოშიაც შემოაღწია კოოპერატიულმა იდეებმა, ჩვენშიაც გამოუჩნდნენ ამ სასიკეთო მოძრაობას გულ-შემატკივარნი. ქუთაისის და თბილისის გუბერნიებში, ბათომის და სუხუმის ოლქებში სხვა და სხვა კოოპერატივები უკვე ასობლივ ითვლება. ნელ-ნელა მაგრამ მტკიცედ უვლიან ეს დაწესებულებანი საძირკველს ჩვენს მომავალ ეკონომიურ გაღონიერებას, მათი მოთავენი და ხელმძღვანელნი ადგილობრივი მღვდელნი, მასწავლებელნი და ინტელიგენტები არიან, ჩვენში, საუბედუროთ, თითზე წამოითვლებიან ხალხისათვის ასეთი თავგაგოდებულნი მუშაკნი, თორემ დღეს ჩვენი მეურნეობის ნაწარმოებნი უკვე დიდი ხნის გატანილი უნდა ყოფილიყო მსოფლიო ბაზარზე და თავის ბუნებრივ თვისების წყალობით სახელიც უნდა შაეძინა ჩვენთვის და ქონებაც; ამის მაგივრად ჩვენ თვითონ შემოგვაქვს აუარებელი ციმბირის ერბოდა სხვა. ასეა სოფლად-პროვინციებში კოოპერაციის საქმე ჩვენში.

„ცოტა მოხოხნე, ცოტა მოცოხნეო“ ასე მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება საერთოდ და ჩვენი კოოპერატიული მოძრაობაც. ამაში დიდი ბრალი ჩვენს დიდ ქალაქებს უდევს. აქ მოგროვილი ერის განათლებული ნაწილი როგორღაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ ჩვენთვის დიდად გამოსადეგ მოძრაობას. ღირსი კია იგი სულ სხვა გვარ ყურადღებისა!... ღირსი კოოპერატივები, ჩვენც, ირლანდიელებსავით ჩვენი სამშობლოს მხსნელად გამოვაცხადოდ და დიდი თუ პატარა მას დავტრიალებდეთ ფარვანასავით თავს.

დღევანდელი კრების დასტური ჩვენს წინადადებაზე ზემონაჩვენებ ნაკლის შევსება და მთელი ინტელიგენციის სწორედ ამ მოძრაობაში სასიკეთო ჩაბმა იქნება.

ვისაც ერის კეთილ დღეობისთვის გული შეგვტკივა, მოვალენი ვართ უპირველესად ვიზრუნოთ ამ ერის ქონებრივად გაღონიერებისათვის. გაძვალტყავებულ, ლუკმა პურისთვის მოწანწალე ადამიანს ვერავითარ საშუალებით და სასწაულ-მოქმედებით ვერ შევაყენებთ პროგრესის გზაზე, ვერ შევაგნებინებთ სანატრელ კულტურის მრავალსახიერ სიკეთეთა.

როგორც ყოველ სხვა განათლებულ ქვეყნებში, ისე ჩვენშიაც, განათლებული ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილი ადამიანები არიან მოვალენი მეთაურად გაუხდნენ ხალხს. ცხოვრებას ალღო ამათ უნდა აართონ და მიშველება დროზე მოახერხონ, რჩევადარიგება დროზე მიაწოდონ, ცხოვრებას თავზე მოექცნენ და არა კუდში მისდიონ.

ყველა მცხოვრები, ყოველი წევრი საზოგადოებისა, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ყველაზედ უმეტესად ვაჭრობით და ჩარჩობით ილვარცლება. საფრანგეთის სტატისტიკით, წვრილი შუამავალი ვაჭრები 30—127 პროც. ასწევენ საფაბრიკო ფასებს თავიანთ სავაჭროებში. აი შედეგი ამ გვარ ვაჭრობისა: საფრანგეთში წლიურად საქონლის მოხმარება უდრის 25 მილიარდ ფრანკს; შუამავალი ვაჭრები აქედან თავის სა-

სარგებლოდ იტოვებენ შვიდ ნახ. მილიარდ ფრ. ეს ციფრი ორჯელ მეტია საფრანგეთის რესპუბლიკის წლიურ მთელ ბიუჯეტზე და ეს ნახევრად მეტია ისტორიაში იმ უმაგალითო ხარკის გაღებაზე, რომელიც საფრანგეთმა გერმანიას გადაუხადა 1871 წ. ომის წაგების შემდეგ (პროფ. ოზეროვი). საფრანგეთის მომხმარებელი უდრტვინველად იხდის ყოველ წლივ ამ საშინელ ზედმეტ ხარჯს. რაიც, დიდებულ სოციალისტ ჟორესის სიტყვით, შედეგია მოხმარების მოუწყობლობისა. იმავე ქვეყნის სტატისტიკით, სხვა ქვეყნებს არც ერთს არ მოეპოვება ამ გვარი სტატისტიკა, წვრილი ვაჭრები მეტად მრავლდებიან, ბოლო არ უჩანს მათ რიცხვსო, რადგანაც ვაჭრობის ეს დარგი მეტად ადვილია და წარმოიდგინეთ მტად სახეიროც. შ. ჟიდი მხოლოდ მომხმარებელთა უორგანიზაციობას და საკუთარ ინტერესების შეუგნებლობას ჰსახამს. ამ გვარ შუამავალთა არსებობის მიზეზად.

ჩვენში ბევრად უფრო უარესად არის ვაჭრობის საქმე მოწყობილი. ვაჭრობით ჩვენც ისევე ხარკ დადებულნი ვართ, თუ მეტად არა, როგორც საფრანგეთის მომხმარებელნი; მაგრამ იქ კიდევ ერთი სასულე ურჩება ის, რომ კაპიტალების ცირკულიაცია იქაურ მცხოვრებთა შორის ხდება. მოგებულ ფულს ფრანგი საფრანგეთშივე მოიხმარებს, სხვაგან გაზიდვა, სულ სხვა ადგილას და სხვა დაწესებულებებში დახარჯვა არ ხდება, ჩვენშიც და ყველგან, სადაც მცხოვრებნი და მოვაჭრენი სხვა გვარტომობას, სხვა და სხვა სახელმწიფოს ეკუთვნიან, სწორედ ეს ზემო ნაჩვენები უგვანობა ულეკს ნიათს ადგილობრივ მცხოვრებს. ასეთი მდგომარეობა უაღრესად გვაიძულებს კოოპერატიულ საქმიანობას შეუდგეთ; თორემ შ. ჟიდის დახასიათებით, ჩვენც ისეთი ცხვარი—მომხმარებელნი დავრჩებით, „რომელნიც ბლავილსაც კი ვერ მოვახერხებთ“, როდესაც უმეტესად გარეშენი ასე უდიერად გვკრეჭენ.

განათლებულმა ევროპამ ამ უკულმართობიდგან გამოსასვლელად შეიმუშავა კოოპერატიული პრინციპები ვაჭრობისა, წარმოებისა და სესხისა. ყოველ ამათგანნი თავის წინამორბედს უცხადებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. დღევანდელ კრებას წინადადება ეძლევა მომხმარებელ საზოგადოება „მეურნეში“ ჩაწერით და მონაწილეობის მიღებით შექმნას კოოპერატიულ მოძრაობის ის აუცილებელი პირველი ეტაპი, რომელიც ბუნებრივად გადაგვიყვანს მწარმოებელ, გამსაღებელ-გამნაწილებელ კოოპერატივებზე. ამ ეტაპების გავლით დიდს მატერიალურ ქონებას მოუყრით თავს, დიდს ორგანიზაციულ ჩვეულებათ და უნარებს შეიძენთ, რაიც მკვიდრ საძირკველს ჩაუყრის ჩვენს ეროვნულ აღორძინებას. მხოლოდ ამის შემდეგ გაისმება შედეგების გამომღები ხმა საქართველოსი, რომელსაც მტერნი თუ მოყვარენი ისევე ანგარიშს გაუწევენ, როგორც გაუწიეს ინგლისელებმა პლენკეტის სინამდვილედ ქცეულ ძდილს... ინგლისელებო, თქვენ არ გვაძლევთ პოლიტიკურ ჰომრულს, მე მივცემ ჩემ მშობელ ირლანდიას ეკონომიურ ჰომრულს და იქნებ პირველზედ მოჰყვესო“. პატარა კოოპერატივების დასაარსებლად 50 ათ-ათი მიტინგის გამართვა დასჭირდა ამ პატიოსან მამულიშვილს, მაგრამ არ შედრკა; კოოპერატივების საშუალებით ხალხი აამაღლა, ამერიკაში გადასახლებას ააშორა, ლორდებს ხელიდგან გამოჰგლიჯა მცხოვრებნი მამულების შეძენით და პოლიტიკური ჰომრულიც ხომ, როგორც მოგეხსენებათ ირლანდიამ მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო.

აი ჩვენი გზაც განვითარებისკენ, აი ის საშუალება, რომელიც სულ მოკლე ხანში ხალხს გააძლობს, გაალვიძებს, სამოქმედოთ გამოიყვანს და მხარში ამოუყენებს იმ მოწინავე ერებს, რომელთაც ჟამთავითარების გამო მესვეურობა ჩაუვარდათ ხელში.

თუ თქვენის დახმარებით საქართველოს ამ დედა ქალაქში ზურგი გაუმაგრდება კოოპერატიულ ვაჭრობა-აღებ მიცემობას, ეს იქნება უაღრესად ეროვნული და მეტად სასარგებლო საქმიანობა.

გარდა ყველა ზემო აღნიშნულ ეროვნულ მნიშვნელობისა კოოპერატივები საზოგადოთ და მომხმარებელი საზოგადოებები კერძოდ დიდ სახეირო იარაღს წარმოადგენენ ჩვენ პირად ცხოვრების პირობების გაუმჯობესობისთვის.

მომხმარებელი საზოგადოება ემსახურება თავის წევრთა ოჯახურ ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. უშუამავლო ვაჭრობის მოწყობითა, ფაბრიკებთან პირდაპირი კავშირის დაჭერით, მწარმოებელთა მომხმარებელთან დაახლოვებით და ძველებურ ვაჭრულ მოგების განდევნით ამგვარი კოოპერატივები ახერხებენ საუკეთესო ნივთ-სანოვაგის მოწოდებას სრულის ზომის და წონისას და ამასთან რამდენადაც კი შეიძლება იაფ ფასად. ნამდვილ კოოპერატიულ პრინციპებზე აშენებული მომხმარებელი საზოგადოება, პატიოსან და გულწრფელ ადამიანთა ხელმძღვანელობით მალე მიაღწევს ისეთ კეთილდღეობამდისინ, რომ რუენის ანდერძის თანახმად, დიდს თანხებს ახარჯებს თავის გროშობლივ მოგროვილ მოგებიდგან საგანმანათლებლო საქმეებს. როჩდელელ „პატიოსან პიონერების“ დიდებული საქმიანობა ამის საუკეთესო ილიუსტრაციაა. მათ ყველა სხვაგვარ სასარგებლო ძვირფას დაწესებულებათა შექმნასთან ერთად 200.000 მან. დახარჯეს საშუალო და უმაღლეს სწავლაზე სულ რაღაც ორ სამ ათეულ წლებში. ყველამ ვიცით თუ რამდენად საჭიროა ამგვარ დაწესებულებათა გამრავლება ჩვენში. ვიმეორებ ხსნა ჩვენი ამათშია.

ყველა კერძო და საეროვნო მნიშვნელობის გარდა მომხ. საზოგ. „მეურნეს“, თვით გარემოება და მდებარეობა საქართველოს დედა ქალაქში არა ნაკლებ საინტერესო როლს დააკისრებს; იგი უნდა იყოს დიდი კულტურული ბინა იმ პროვინციის კოოპერატივებისთვის, რომელნიც სვინტრიეით ამოდიან, მაგრამ, ვაჰ თუ სვინტრიეით მოკლე დღიანნი გამოდგნენ, თუ ისეთი ინტელიგენტურ ძალებით და მატერიალურ საშუალებით ღონიერი დაწესებულება არ იდგება ჩვენს დედა ქალაქში ბურჯად, როგორიც უნდა იყოს აუცილებლად მომხ. საზოგ. „მეურნე“ და იქნება კიდეც, ოღონდ თანაგრძნობა თქვენი და თქვენიანებისაა აქ საჭირო.

ვინც ნათლად წარმოიდგენს მომხმარებელ საზოგადოება „მეურნის“ ზემოაღნუსხულ როლების სიდიადეს და სარგებლობა-საჭიროებას პირადად ყოველ ჩვენთაგანისთვის და საზოგადოდ საქართველოს მცხოვრებთათვის, იმედია სურვილს განაცხადებს წევრად ჩაწერისას და როდესაც საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მის ცხოვრებაში არა გვერდზე აუვლის და ქედმაღლობით იტყვის: სხვისა ჭირი, ღობეს ჩხირიო. დებულება—ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის—კოოპერატივებში პოულობს სრულს განხორციელებას და ჩვენც უსათუოდ ეს უნდა ამოვიჭრათ გულის ფიცრებზე.

ლ. ცაგარელი.

პროვინციის ქრონიკა

ქუთაისი.

21 გიორგობისთვეს შავი ქვის საბჭოს დარბაზში უნდა მოხდეს: რაჭა-ლეჩხუმის მაზრის წვრილკრედიტის ამხანაგობათა შეერთებული თათბირი, რომელზედაც უნდა გაირჩეს შემდეგი კითხვები: 1) მოწესრიგება სიმინდის, შაბიამან-გოგირდის და აბრეშუმის თესლის დროზე შემოტანის საქმისა, 2) ზემო დასახულ მიზნისთვის საჭირო სახსრის გამოძებნა, 3) შეკავშირებით მოქმედება, 4) შეკავშირებულ ამხანაგობებში საშუამავლო ოპერაციების შემოღება და სხვა.

დ. ბორჩხა.

ბორჩხის მაღლობები უკვე ჩამოთოვა, მაგარი სიცივეები დაიწყო, სანოვაგეს და შეშას მეტად დიდი ფასი დაედო.

ქ. ბაქო.

ბაქოს ქალაქის მმართველობას ნება დართეს აიღოს 12 მილიონი სესხი, წყალ სადენის მოსაწყობად.

ტუაპსე.

16 გიორგობისთვეს ადიდებულმა მდინარემ მოიტაცა ხის ხიდი, და რამდენიმე ადგილას ტელეგრაფის სვეტები, ცნობების მიწოდება მახლობელ ადგილებში შეწყვეტილია.

სურამი.

გუბერნატორმა ნება დართო სურამში დაარსონ დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტი.

არმავირი.

არმავირში აღმოაჩინეს ფარული ქარხანა, სადაც ვინმე მელიქ ჯელალოვი არაყს ამზადებდა. ჯელალოვს პასუხისგებაში აძლევენ.

ოზურგეთი.

ოზურგეთის ქალაქის გამგეობას აზრად აქვს, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას გენერალ დუმბაძის სახელი დაარქვას, რომლის ინიციატივითაც ოზურგეთში ქალაქის აფთიაქი გაიხსნა.

ესენტუკი.

ამას წინად ღამით უცნობებმა გადასჩეხეს ქალაქის დასამშვენებლად საგანგებოდ დარგული ხეები და ბევრ სახლებს ფანჯრები შეუმტვრიეს. პოლიციამ ვერვინ შეიპყრო.

ქ. ფოთი.

ხუთ გიორგობისთვეს ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილემ მ. ტყემალაძემ მოიწვია თათბირი, რომელზედაც იმსჯელეს სურსათ-სანოვაგის და სიძვირესთან საბრძოლველ საშუალებათა გამოსანახავად. კრებაზე გადასწყდა აირჩეს საგანგებო სასურსათო კომისია, რომელიც იმავე დროს სიძვირესთან ბრძოლასაც აწარმოებს.

სოფ. ხეთა.

10 გიორგობისთვეს ადგილობრივ მცხოვრების დიმიტრი გოგიას ოჯახში მეტად საზარელი დრამა დატრიალდა ხსენებულ მცხოვრებმა სამუშაოდან მოსვლისას შეჰნიშნა, რომ თავის ქალი ამავე სოფლის მცხოვრებ რაჟდენ კომახიძესთან სქესობრივ დამოკიდებულებაში იყო, კომახიძე დიმიტრის ქალის ნათლია ყოფილა. დიმიტრი გოგია გაბრაზდა და ცულით ორივენი მოჰკლა.

დაჭრილ-დაავადმყოფებული ქართველი ჯარისკაცნი.

სტავროპოლის ერობის საავადმყოფოში იმყოფებიან დაჭრილები:

ქუთაისის მაზრა სოფ. უხუთიდან **ვასილი გლახუას ძე გიორგაძე**.

ზუგდიდის მაზრა სოფ, საჯიჯაო **მიშა ნიკოიას ძე მიქავა**.

შორაპნის მაზრა სოფ. კორბოული **ილარიონ ფარსადანის ძე მაჭარაშვილი**.

დაყრუებული: სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგისა—**ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სიყმაშვილი**.

ქუთაისის მაზრის სოფ. სალომინაო. **კოლია მარკოზის ძე სანიკიანი**.

ქუთაისის მაზრის სოფ. ამაღლებიდან **ნესტორ გიგოს ძე ქურციკიძე**.

თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან:

ბერიაშვილი ივანე ილიკოს ძე, ბერიაშვილი გიორგი მიხაკოს ძე, ჯავახიშვილი სიმონ იორდანეს ძე, სამხარაძე ეფრემ დათას ძე, ბოკუჩავა სოფრომ თემურაზის ძე, შენგელია მაქსიმე, მაჩიტაძე სევასტი, ანდღულაძე მიხაკო ნიკიფ., სულაბერიძე ბიკტორ პავლეს ძე, გაგუა ნიკიტა ალექსის ძე, მიქატაძე კონსტანტინე, ბერგატია ეფრემი ბეგლარის ძე, ბეზტალაშვილი გიორგი, ცომაია ალექსანდრე პავლეს ძე, ბენდელიანი დათა პავლეს ძე, ქელანია მელიტონ მახარ. ცომაია ალექსანდრე პავლეს ძე. შენგელია იასონ, პარულუა ერასტი ძიკის ძე, ნებიერიძე აგ. მოსეს ძე, ბაკელიანი ივანე დათას ძე, ლომთათიძე ერასტი ალექსის ძე, ნუცუბიძე ნესტორ მიხაკ. კვინიძეია მათე, კუნიაშვილი სიმონ იასონის ძე, ფარცვანია პლატონ, გაბიდაული მიხაკო, სუმინია არჩილ, ლომთაძე ერასტი ალექსის ძე, ხახანაშვილი იოსებ, კუკალაშვილი იოსებ, მელია იასონ ნესტორის ძე, როსტომაშვილი ილიკო.

მაჰმადიანთა ცხოვრება

ბაქოს მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოებას 15 ამა გიორგობისთვეს დღიდან დაარსებისა შეუსრულდა 10 წელიწადი.

ამ ხნის განმავლობაში ხსენებული საზოგადოება ნივთიერ დახმარებას უჩენდა, როგორც თვით ქ. ბაქოს ღარიბებს, ისე მის გუბერნიის მცხოვრებთ.

ამ ბოლო ხანს კი საზოგადოებამ დიდი ფხა და უნარი გამოიჩინა, ყველას ახსოვს თუ რა დაუფასებელი თავდადებით მიეშველა საზოგადოება ყარს-არდაღან-ოლთისის დაზარალებულ მცხოვრებთ.

საქველმოქმედო საზოგადოებამ უყურადღებოდ არ დასტოვა არც დაზარალებული აჭარა, მან იქ თავის რწმუნებული ექიმი სულთანოვი გაჰგზავნა, რომელმაც უკვე მოიარა ზემო აჭარა და საზოგადოებას ვრცელი მოხსენება წარმოუდგინა მცხოვრებთა საჭიროების შესახებ. ბ. სულთანოვის სიტყვით იმ ადგილებში, რომელიც მან მოიარა, დაზარალებულა 40,000 მეტი მცხოვრები. ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოებამ აჭარაში კიდევ გაჰგზავნა რწმუნებულნი, რომელნიც გაეცნობიან დანარჩენ ადგილების მდგომარეობას. ამ ხანად ბაქოს საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის კომიტეტი შეძლების და გვარად და მუდმივად ეხმარება აჭარის მცხოვრებთ.

სათათბიროს მოლოდინში

სათათბიროს მოწვევის მოლოდინში რუსეთის ფართე საზოგადოება თითქმის სთვლემს, არ ისმის აღმაფრთოვანებელი სიტყვა სათათბიროს მომავალ საქმიან მოღვაწეობაზე. მთელი რუსეთის გაზეთები სავსეა უცხოეთის მაჯის ცემის მეთვალყურეთა წერილებით, სწერენ საბერძნეთის არჩევნებზე, გერმანეთის რეიხსტაგის მომავალ კრებაზე, შვეციისა თუ რუმინეთის განწყობილებაზე, ინგლისის ლორდთა პალატაზე და სხვ. მხოლოდ ერთი ქვეყანაა, რომელიც უგულისყუროდ არის მიტოვებული. ეს გახლავთ რუსეთი. თითქოს მისი ავ-კარგი, მისი შინაური ცხოვრების სვე-ბედი არავის ანაღვლებდეს. რა თქმა უნდა ბევრი იწერება სიძვირეზე, ვაგონების სიმცირეზე, მედუქნეების ოინბაზობაზე, ქალაქის გამგეობაზე... პოლიტიკა კი თითქმის რაღაც მანქანებით გამქრალა ჩვენს გაზეთებში. ომის უმძიმესი ტვირთი თითქმის რუსეთს აწევს, აურაცხელ მსხვერპლსა ვწირავთ, მაგრამ შინაურ ცხოვრების მემატიანენი კი მიყუჩებულან, თითქოს ყველაფერი რაც მოსასვლელია, თავის თავად მივა, ყველაფერი რაც ხალხს ესაჭიროება, გარეშეთა მადლიანი ხელით მოევლინება ხალხს ჩვენი ხელის გაუნძრევლად.

ინგლისი, მდიდარი და მოწესრიგებული ინგლისი, რომელსაც ჯავშანგადაკრული ზღვა ზურგს უმაგრებს, იბრძვის მსოფლიო განსაცდელის წინააღმდეგ გასამკლავებლად; გერმანეთი, გამარჯვებით აღფრთოვანებული და თავბრუდასხმული გერმანეთი, მერმისის მოლოდინში დღევანდელს საომარ ნაბიჯს შინაურ მდგომარეობასაც უფარდებს. რუსეთი კი მთვლემარე მშვენიერ დედოფალს დაჰმსგავსებია. სევდა გაწვება გულზე, განსაკუთრებით ეხლა, სათათბიროს მოწვევის წინ. მართალია სათათბირო ისეთი დაწესებულება არ არის, რომელიც მთებსა სძრავდეს, მაგრამ ეს ხომ ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც რუსის ხალხის წარმომადგენლობა თავს იყრის. აქ ისინი მთავრობას ჰხვდებიან, ითქმის სიტყვა უბრალოც და გადამჭრელიც. მტკიცე სიტყვის გარეშე ცხოვრება ხომ აუტანელია. სათათბიროს დათხოვნის დროს მაკენზენი მდ. პრიპიატთან იყო დაბანაკებული, ეხლა კი ნიშსა და სტამბოლის შუა სდგას და ეგვიპტისაკენ გალაშქრებას ჰლამობს. ბრძოლის ასპარეზი დაგვშორდა. ამავ ხანაში მთავრობამ მილიარდზე მეტი ვალი აიღო. ყველა ეს საკითხები სათათბიროს განსახილველი აქვს.

ნუ თუ დრო არ არის ვიზრუნოთ იმაზე, რომ ხვალის ულუფა დღეს არ ინთქმებოდეს...

სათათბიროს მოწვევამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და მასზე ჩამი-ჩუმი არ ისმის, ხმას არავინ იღებს. მკათათვეში რომ სათათბიროს იწვევდნენ საზოგადოება აზავთებულის გრძნობით მოელოდა მას—ეს იყო თავდაცვის მღვიძარ ალღოს გამოხატულება. ეხლა კი—ირგვლივ სიჩუმეა, თითქოს სულ-ერთი იყოს, რაც უნდა მოხდეს. იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ეს მიყურსება რუსეთის ზედაპირის მაჩვენებელია და არა მისი გულისთქმასა. (დენ).

ი. ბიკერმანი.

რუსეთი

ჯალათი კომლევი. კიევის საოლქო სასამართლომ ამ თვის 13-ში გაარჩია საქმე ჯალათის კომლევისა, რომელსაც მოხუცი მათხოვარი დედაკაცის პოდუბინის მოკვლა ჰბრალდებოდა. კომლევი მოხუცია. დიდი ხნის წინად საოლქო სასამართლოს მისთვის კატორღა გადაუწყვეტია. ამ სასჯელის მოხდის დროს ჯალათობა უკისრნია და ვადაზე ადრე გაუნთავისუფლებიათ. დაბრუნების შემდეგაც კომლევი განაგრძობდა თურმე ჯალათობას. თვისი ხელით 20 ტუსაღი და პოლიტიკური დამნაშავე გაუსტუმრებია საიქიოს. ბოლო ხანებში კომლევს მათხოვრობა დაუწყვია. მას შეხვედრია მოხუცი მთხოვარი დედაკაცი პოდუბინა და მოუკლავს, ორი მანათის გულისათვის. საოლქო სასამართლომ კომლევს 12 წლით კატორღა მიუსაჯა.

ყალბი პასპორტები. გომელში მიაგნეს საიდუმლო ჯგუფს, რომელიც თურმე ყალბ პასპორტებს ამზადებდა და ზედ აღნიშნავდა, სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებულიაო. ორი მათგანი დააპატიმრეს.

უცხოეთი

ინგლისი

ომმა ბევრს მოათბობინა ხელი, განსაკუთრებით მრეწველ-მოვაჭრეებს. ინგლისში ამასწინად გაიყიდა ერთი გემი „კოლლინჰემ“ — 4000 ტონ. წყალთ-წყვისა—90 ათას მანეთად. ეს გემი ამ ექვსი თვის წინად 60 ათას მანეთად იყიდეს.

დიდი მოგება აქვთ აგრეთვე მებადურებს. მებადურთა გემები ერთი ოთხად შემცირდა, რადგანაც მომეტებული ნაწილი საომარ საჭიროებისათვის გამოიყენეს. მებადურთა ნავებზე მეზღვაურნი დღეში 4 გირვანქა სტერლინგს ღებულობენ.

ჩინეთი

პეტროგრადის დიპლომატების წრეში შანჰაიდან ცნობა მიიღეს, ჩინეთის სამხედრო სამსახურში რამდენიმე გერმანელი სადაზვერვო ოფიცერი მიიღესო. ფონ-რიუდიგერი, მაგალითად, ცზიანის საარტილერიო საწყობის ინსპექტორად დაუნიშნავთ. შანჰაიში ვიცე-კონსულად ნამყოფი ა. ნ. ვოზნესენსკი ამბობს: თუ ეს ყველაფერი მართალია, სჩანს გერმანელებს უკვე ფეხი მოუმაგრებიათ ჩინეთში და მალე თავს გვაცნობებენო.

ჩინეთიდან გერმანელთა გასაძევებლად უკვე ზომები იყო მიღებული მაგ. ახალშენების ჩამორთმევით, მაგრამ მაინც სჩანს, რომ გერმანელთა მოქმედება შორეულს აღმოსავლეთში ახალ ხანაში გადადის.

ამერიკის შეერთებული შტატები.

ამას წინად გერმანელებისაგან დაღუპულ „ლუზიტანიის“ 125 მგზავრის საზღაურად გერმანეთი, დაღუპულთა ნათესავებისათვის, თითო სულზე 1000 გირვანქა სტერლინგს აძლევს, სულ 125 ათას სტერლინგს.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsge-
fangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,
№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond
Russe pour les prisonnier de
guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან.	12 ს. 54 წ. დღ.
№ 4	ბათომიდან.	5 ს. 55 წ. საღ.
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ. საღ.
№ 10	ბათომიდან.	9 ს. 51 წ. დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.
	„ საღ.	10 ს. 28 წ. საღ.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. საღ.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ. დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ. საღ.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. საღ.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა და წნორისკენ დილ.	8 ს. 58
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის.	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
„განათლება“
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартќиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.